ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 6 თებერვალი 2004 №25 (2044) ფასი 50 თეთრი

## მიუშელით!

## მიშელ პლატინის ფასმა ანრი მიშელის ფასი უნდა დასწიოს







საქართველოს ნაკრების მწვრთნელის საკითხი, სავარაუდოდ, დღეს გაირკვევა. ასევე სავარაუდოდ, ეს კაცი ფრანგი ანრი მიშელი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ მიშელი ევროპაში საკმაოდ მაღალანაზღაურებად სპეციალისტად ითვლება და ფეხბურთის ფედერაციას ამ მწვრთნელის სამყოფი ფული არ აქვს, ავტორიტეტული პიროვნების დახმარებით დიდი შანსია, ნაკრები სწორედ მას ჩაბარდეს.

ანრი მიშელისა და ფეხბურთის ფედერაციის ურთიერთობაზე ბევრს აღარ მოვყვებით, ეს ამბავი ყველამ კარგად იცის და არც ის იქნება უცხო, ვთქვათ, მიშელი შეთავაზებულ წინადადებაზე საბოლოო პასუხის სათქმელად ფეხბურთის ფედერაციის დროებით დაპატიმრებული პრეზიდენტის გათავისუფლებას ელოდა. ახლა პრეზიდენტი თავისუფალია, მის მიმართ ყოველგვარი სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილია; ანრი მიშელი ტუნისშია და აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშებას ესწრება; მისი თურქი აგენტი ბაირამ თუთუმლუ თბილისში ამ დღეებში აპირებს ჩამოსვლას. მოკლედ, საბოლოო მოლაპარაკებისთვის, შეიძლება ითქვას, ყველაფერი მზადაა. როდის და სად შედგება შეხვედრა, ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია, თუმც, სამაგიეროდ, ცნობილია, რომ:

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია გუშინწინ ესაუბრა მის მეგობარს, ფიფას აღმასკომის წევრს მიშელ პლატინის. ანრი მიშელის გარდა მათ სხვა ფრანგ მწვრთნელებზეც ილაპარაკეს, ნახსენები იყო ალენ ჟირესის კანდიდატურა, რომელიც გასამრჯელოდ მიშელზე ნაკლებს ითხოვს, თუმც მასზე დაბალი კვალიფიკაციისაა. ითქვა ფილიპ ტრუსიეზეც, ვინც თანამედროვე ფეხბურთში თურმე ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებად სპეციალისტად ითვლება და, აქედან გამომდინარე, საქართველოში მისი ჩამოყვანა, ფაქტობრივად, გამორიცხულია.

დანარჩენი უკვე ანრი მიშელის თაობაზე საუბარი იყო, საქართველოს ნაკრებისთვის ძვირ, მაგრამ გამოსადეგ მწვრთნელზე. სიძვირე ჟორდანიამ ახსენა, რაზეც პლატინიმ, სამაგიეროდ, გამოგადგებათო, უპასუხა.

და თუ თავს ზემოთ ძალა არ არის? საბოლოო სიტყვა და ალბათ მთავარიც, საუბრის ბოლოს მიშელ პლატინის უთქვამს — ამ საქმეში მე ჩავერევი... დაგვეთანხმებით, პლატინის სიტყვას ფასი უნდა ჰქონდეს, მით უმეტეს, როცა საქმის გარკვევა სწორედ ფასზე ჰკიდია.

**კოგა ინასარიძე**

## ჟორდანიამ თუთუმლუ დააბრკოლა

საქართველოს ეროვნული ნაკრებისთვის მწვრთნელის დანიშვნა უსაშველოდ გაიწელა. ბაირამ თუთუმლუ მერაბ ჟორდანიასთან ანრი მიშელის თაობაზე მოსალაპარაკებლად დღეს უნდა ჩამოსულიყო თბილისში, მაგრამ...

— განრიგის შეცვლა არ მჩვევია, მაგრამ ჟორდანიამ მითხრა, მოგვიანებით მოვიცლი ამ საკითხზე სასაუბროდო და ჩემი თბილისში სტუმრობაც ამიტომ გადაიდო. თქვენთან 9-დან 14 თებერვლამდე ჩამოვალ — გვითხრა გუშინ თუთუმლუმ.





ჰიბერნიანი — რეინჯერსი. შოტლანდიის თასის ნახევარფინალის პენალტების სერიაში დანიელ ანდერსონს ჯერ შოთა არველაძემ ვერ გაუტანა, მერე ზურაბ ხიზანიშვილმა

## არველაძემ კარს ვერ მოარტყა, ხიზანიშვილმა მეკარეს მოარტყა

გლაზგოელ ჩაფრებს და მათ ქართველებს, შოთა არველაძესა და ზურაბ ხიზანიშვილს ამ სეზონში ბედი რომ არ სწყალობთ, გუშინაც დავრწმუნდით — შოტლანდიის ლიგის თასის ნახევარფინალში „რეინჯერსმა“ ოდენ ფრე იკმარა „ჰიბერნიანთან“ და როცა საქმე პენალტების სერიაზე მიდგა, იღბალთან ერთად გლაზგოელებს და მათ შორის ჩვენებურებს ნერვებმა და სიზუსტემ უმტყუნეს. თერთმეტმეტრიანების გაწელილ სერიაში (მეტოქეებმა 14 დაარტყეს) უფრო ყოჩაღნი „ჰიბერნიანის“ ფეხბურთელები და მათი მეკარე დანიელ ანდერსონი გამოდგნენ. ვერგამტან ჩაფრებში არველაძე-ხიზანიშვილიც იყვნენ.

აქვე ვთქვათ, რომ „რეინჯერსის“ საამსეზონო ჩავარდნა — ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა, სქოთურ პრემიერლიგაში „სელტიკთან“ 11-ქულიანი ჩამორჩენა და გუშინდელი მარცხიც, მთლად უბედობის ამბავი არ უნდა იყოს.

# რატი როსტოველია

## თუმცა თბილისში მოდის



**გუშინ**, გვიან ღამით, საბოლოოდ გაირკვა: ამიერიდან რატი ალექსიძე თავისი გოლებით როსტოველ ფეხბურთის გულშემატკივრებს გაახარებს. „როსტოვთან“ კონტრაქტის გაფორმება წუხელ თავად რატიმ დაგვიდასტურა. თუმცა უფრო ვრცელი კომენტარისგან თავი შეიკავა.

რატისავე თქმით, იგი „როსტოვს“ არ ჩააკითხავს თურქეთში, სადაც კლუბი 3 თებერვლიდან იმყოფება და ახალი სეზონისთვის პირველ მოსამზადებელ ეტაპს გადის. მართალია, ეს ფაქტი ცოტა უცნაური ჩანს, მაგრამ ჩვენთვის ჯერ უცნობია, რაზე მოილაპარაკეს ფეხბურთელმა და როსტოველებმა. ალექსიძე თბილისში დღეს დაბრუნდება და, სავარაუდოდ, სწორედ თბილისიდან შეუერთდება ახალ კლუბს ჯერ როსტოვში, ხოლო შემდეგ კლუბის მეორე მოსამზადებელ ეტაპსაც.

ქართველ ფეხბურთელს „როსტოვში“ საკმაოდ სერიოზული კონკურენტიც დახვდება ჰონდურასის ნაკრების ფეხბურთელის ხაირო მარტინესის სახით, ვისაც ინგლისურ „ქოვენთრიშიც“ უთამაშია.

# ქინქლაძე მომავალზე ვერაფერს ამბობს



ბრიტანული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, „ლიდსში“ მოვარჯიშე გიორგი ქინქლაძე თანახმაა, სეზონის ბოლომდე ყოველგვარი საზღაურის გარეშე ითამაშოს და კლუბს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმაროს. და თუ ასე მოხდა, ქინქლაძე სეზონის ბოლოსდა მოითხოვს 250 ათასს გირვანქას.

შეგახსენებთ, ეს ინფორმაცია ინგლისში ოთხშაბათს გავრცელდა. გიოს თქმით, მას სწორედ ოთხშაბათს უნდა გაეფორმებინა „ლიდსთან“ კონტრაქტი.

— კლუბში ვითარება ისევ არეულია და ჩემი ტრანსფერის თაობაზე კაციშვილი ზუსტ პასუხს ვერ იძლევა. სადღაც გაქრნენ ის ლიდსელი ბიზნესმენებიც, რომლებიც კლუბს სეზონის ბოლომდე შენახვას დაპირდნენ — გვითხრა ოთხშაბათის საღამოს გიორგი ქინქლაძემ — ის ცნობა კი, თითქოს უხელფასოდ თამაშზე თანახმა ვარ, სიცრუეა, მსგავსიც კი არაფერი მითქვამს. თუმც ისიცაა, რომ „ლიდსთან“ კონტრაქტის გაფორმების შემთხვევაში უსაშველო ანაზღაურებას არ მოვითხოვ და სეზონის ბოლომდე თამაშისთვის მინიმალურ ანაზღაურებაზეც თანახმა ვარ.

— კიდევ დიდხანს გაჭიანურდება „ლიდსში“ შენი საქმის გარკვევა?

— ეს საქმე აქამდეც უნდა მოგვარებულიყო, მაგრამ კლუბის ხელმძღვანელობამაც არ იცის, ხვალ რა იქნება. მწვრთნელმა ერთი კვირით მთხოვა ვარჯიში და უკვე თვეზე მეტია აქ ვარ. აღარ ვიცი, რა ვქნა, ასე შესაძლოა, სეზონის ბოლომდეც გაგრძელდეს, მე კი თამაში მომენატრა, ექვსი თვეა, მოედანზე არ გავსულვარ. ყველაზე ცუდი ისაა, რომ მომავალზეც ვერაფერს ვამბობ.

**კობა ინასარიძე**



„მილანი“ — „ლაციო“. მასპინძლებს ახალგამოჯანმრთელებული ფილიპო ინძაგის გოლმაც ვერ უშველა

# ამერი: ოთხიც ანთალიაში

**გუშინ** თბილისის „ამერი“ თურქულ შეკრებაზე გაემგზავრა. გუნდი ანთალიაში დაბანაკდა და გუშინვე პირველი ვარჯიში ჩაატარა. „ამერს“ თურქეთში ოთხი ამხანაგური მატჩის ჩატარება აქვს დაგეგმილი. მისი მეტოქეები უნგრული „ბოდაიკი“, ყაზახური „აქტიუბინსკი“ და ბელარუსის ჩემპიონი „გომელი“ იქნებიან. მეოთხე თამაშის თაობაზე კი, სავარაუდოდ რუმინულ გუნდთან, მოლაპარაკება მიმდინარეობს.

თურქეთში გამგზავრებამდე „ამერმა“ თბილისში ოთხი ამხანაგური მატჩი ჩაატარა. თბილისის „ლოკომოტივს“ და „მცხეთას“ მოუგო, გორის „დილას“ და თბილისის „სპარტაკს“ კი ფრედ ეთამაშა.

„ამერი“ თბილისში 18 თებერვალს დაბრუნდება, წლეულს პირველი ოფიციალური მატჩი კი 27 თებერვალს აქვს — საქართველოს თასის 1/16 ფინალში რეგიონალლიგის „ურიონს“ შეხვდება.

**გიორგი დარჯანია**

*ფკ „ამერის“ პრესსამსახურის უფროსი*

### შოტლანდია

ლიგის თასი. 1/2 ფინალი

ჰიბერნიანი 4:3პენ (1:1) რეინჯერსი

### ესპანეთი

თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

ალავესი 1:1 სარაგოსა

### იტალია

თასის 1/2 ფინალი. I მატჩი

მილანი 1:2 ლაციო

### ჰოლანდია

II დივიზიონი. გადადებული მატჩი

მაასტრიხტი 1:0 ტელსტარი

# გახოკიძე დიდ ომში იყო

## გოგას მეკარემ ძმა [illegible]

*გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ ოთხშაბათს სენსაციურად [illegible] იფრინა „ფეიენოორდი“ ჰოლანდიური თასის მეოთხედფინალიდან. მეორე დღეა, ამის გამო ენსხედეში დიდი ზეიმია. „ტვენტეს“ გიჟმაჟ ქომაგთა სიხარულს საზღვარი არა აქვს, მათი გუნდი ფინალთანაც ახლოს არის და საერთოდაც თასის აღების რეალური კანდიდატიცაა, რაკილა მეოთხედფინალს კიდევ ერთი ჰოლანდიური გრანდი — პსვ ემსხვერპლა, „ტვენტეს“ კი ნახევარფინალში „ბრედა“ ჰყავს მეტოქედ საშინაო მატჩში. ფინალში თუ გავიდნენ ენსხედელები, „სპარტა“ — „უტრეხტს“ შორის გამარჯვებულს შეხვდებიან*

„ფეიენოორდთან“ მატჩის შემდეგ გოგა გახოკიძეს ქება არ მოაკლეს ჰოლანდიურმა გაზეთებმა. ქართველმა 119 წუთი დაჰყო მოედანზე, თავისი გუნდის სამივე გოლში მიიღო მონაწილეობა და ქომაგთაგან ოვაციაც ალალად დაიმსახურა.

გოგა გახოკიძეს გუშინ ენსხედეში შევეხმიანეთ.

— „ფეიენოორდს“ თასამდე ჩემპიონატის მატჩშიც შევხვდით. ის თამაში დისკვალიფიკაციის გამო გამოვტოვე. მახსოვს, მაშინ გითხარით, დავისვენებ და „ფეიენოორდის“ ჯავრს თასის მეოთხედფინალში ვიყრი-მეთქი. მგონი, სიტყვა შევასრულე. კმაყოფილი ვარ, ურიგოდ არ მითამაშია, ეს მწვრთნელმაც საგანგებოდ აღნიშნა მატჩის შემდეგ და ორ ჰოლანდიურ გაზეთსაც მივეცი ინტერვიუ. მთავარი კი ის არის, რომ მოვიგეთ და თასისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით.

— „ფეიენოორდთან“ მატჩის რეცენზიაში წერია, რომ სამივე გოლში მიიღე მონაწილეობა...

— პირველი გოლი ნკუფოს მე გავატანინე. დამატებით დროში კი ორივე საგოლე იერიში წამოვიწყე... დიდი ომი იყო, თავიდან კი გავიტანეთ, მაგრამ „ფეიენოორდმა“ მალევე გაათანაბრა და მერეც, საგოლეები ბევრი შანსი ჰქონდა, მაგრამ ჩვენმა მეკარემ კეის პაუვემ თავი გაიგიჟა... სხვათა შორის, მისი ძმა პატრიკ პაუვე „ფეიენოორდის“ კაპიტანია. მოკლედ, ძმები სხვადასხვა მხარეს იყვნენ და არ ვიცი, ამის მერე როგორ გაგრძელდება მათი ურთიერთობა. როტერდამელმა პაუვემ ლამის თითები დაიჭამა, ისეთი ბურთები აუღო ძმამ. კინალამ გაგიჟდა კაცი. დამატებით დროში უკვე 3:1-ს ვიგებდით და შვიდი წუთი იყო დარჩენილი, ძმები ერთმანეთის პირისპირ რომ დარჩნენ, მაგრამ ჩვენმა პაუვემ ივარგა, კეისმა საფინალო სასტვენამდე წუთით ადრეც ისეთი ბურთი აუღო ძმას, კინალამ ჩხუბი ატყდა დედმამიშვილებს შორის მოედანზე. მოკლედ, მაგარი თამაში იყო, არასდროს დამავიწყდება.

— ნახევარფინალში მეტოქედ პსვ-ს გამგდები „ბრედა“ გყავთ საშინაო მატჩში, თანაც მხოლოდ ეს თამაში წყვეტს ფინალისტის ბედს...

— შინ თამაში დიდი სტიმულია ჩვენთვის, „ბრედას“ უნდა მოვუგოთ, თორემ ქომაგი არ გვაპატიებს. ენსხედელი გულშემატკივარი დიდი ძალაა ჩვენთვის, „ფეიენოორდთანაც“ მათი შეწევნით მოვიგეთ. სტადიონი ჩვეულებისამებრ გადაჭედილი იყო და მეტოქეს ბურთის მიღებისას ჯოჯოხეთური ღრიანცელი ატყდებოდა თავს... ძნელია ენსეხედეში თამაში სტუმრისთვის.

— გოგა, ეროვნულ ნაკრებზეც მინდა გკითხო. შენ სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია დაგრჩა, მიუხედავად ამისა, საეჭვოა, ნაკრებში დაბრუნებაზე არ ფიქრობდე...

— როგორ არ ვფიქრობ. ნაკრებში დაბრუნება ჩემი უპირველესი საზრუნავია. დამიმთავრდება დისკვალიფიკაცია და თუკი დამიძახებენ, სიამოვნებით ჩამოვალ. ჩემი ქვეყნის გუნდს ერთგულად ვემსახურები, ოღონდ არ მინდა, ჩემს ნაკრებში გამოძახებას ისეთივე პრობლემები მოჰყვეს, როგორიც აქამდე იყო.

**პაატა ქვანტალიანი**



გოგა გახოკიძემ კეს ვან ვონდერენს და მის „ფეიენოორდს“ თავისი უთხრა

# მმართველის ოლიმპიური სიმშვიდე: ჩვენ სულელები არა ვართ

*ალექო ამისულაშვილი, ლადო ბურდული, ოთარ ხიზანეიშვილი, გიორგი შაშიაშვილი, ვიტალი დარასელია და რატი ალექსიძე – ეს ექვსი ფეხბურთელი სულ ცოტა ხნის წინ თბილისის „დინამოს" ძირითადი შემადგენლობის ნახევარზე მეტს წარმოადგენდა, ახლა კი ზოგი მათგანი უკვე სხვა გუნდშია და ზოგიც საცაა, გადავა...*

*„დინამოს" მმართველ დირექტორ დავით პატრიაშვილს გუშინ სატრანსფერო საკითხების გარდა სხვაზეც ვესაუბრეთ – „დინამო" ყოველთვის აქტუალური თემაა და განსაკუთრებით მაშინ, როცა გუნდში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს...*

*ცვლილებები გუნდში სწორედ პატრიაშვილმა დანერგა მარშანდელ შემოდგომაზე – „დინამოს" მმართველი დირექტორი თავისებური რეფორმატორი გამოდგა და რას მოუტანს ეს „დინამოს", მალე უნდა გამოჩნდეს...*



[illegible] ფოტო

— „დინამოს" მიერ თანამეგობრობის თასის მოგების შემდეგ ზოგს ეგონა, რომ თქვენ პოლიტიკას გადახედავდით, მაგრამ ასე არ მოხდა — ფაქტობრივად, ნახევარი გუნდი ტოვებს „დინამოს".

— „დინამოში" ფეხბურთელების მასობრივი მიგრაცია არ მიმდინარეობს, გადაწყვეტილი მხოლოდ ამისულაშვილის წასვლაა, ბურდულის საკითხი გაურკვეველია, დარასელიას და ალექსიძეს კი უკვე თანამეგობრობის ტურნირის დაწყებამდე დაუმთავრდათ კონტრაქტი „დინამოსთან", ხიზანეიშვილი ჩვენი ფეხბურთელი არ ყოფილა, ის იჯარით გვყავდა აყვანილი და უნდა გითხრათ, რომ „დინამო" იჯარით ფეხბურთელს აღარ აიყვანს. რაც შეეხება შაშიაშვილს, ის „დინამოდან" წასვლას არ ჩქარობს. თუ ჩვენი ფეხბურთელი უკეთეს ჩემპიონატში ითამაშებს, ეს ნორმალური ამბავია, არანორმალური არის ის, რომ თითქმის სამი წლის განმავლობაში „დინამოდან" ტრანსფერი არ განხორციელებულა.

— ზოგადად, კონტრაქტის და იჯარის გაგრძელებაც ნორმალური ამბავია. რა თანხად გადავიდა ამისულაშვილი კიევურ „დინამოში"?

— ეს ჯერჯერობით კონფიდენციალურია, რაც კიეველებთან შეთანხმებით ხელშეკრულების ერთ-ერთ პუნქტშია მითითებული. ცხადია, ყოველივე დოკუმენტურადაა გაფორმებული ანუ შესაბამისი ორგანოებისთვის ეს კონტრაქტი ხელმისაწვდომია. ისე კი, „დინამოში" ამ ფეხბურთელების შემცვლელები უკვე მოდიან, ახალი კადრები, ასე ვთქვათ, ქვემოდან აწვებიან ძველებს.

— როცა სამი წლის წინ „დინამო" ბადრი პატარკაციშვილმა იყიდა, მაშინ კლუბის მესვეურებს სულ სხვა გეგმები ჰქონდათ და სულ სხვა რამეს გაიძახოდნენ — ჩამოვიყვანთ ლეგიონერებს, უცხოეთში მოთამაშე ქართველ ფეხბურთელებს, ორ-სამ წელიწადში ჩემპიონთა ლიგაში ვითამაშებთ და ასე შემდეგ. და მართლაც, სადაც მსხვილი ბიზნესმენი მივიდა, ის კლუბი მყისვე სახელიანი მოთამაშეების შეძენაზე ზრუნვას შეუდგა — ასეა ყოფილი საბჭოეთის თუ დანარჩენი უცხოეთის ქვეყნებში...

— „დინამოს" ახალ კურსს ხომ ამ ცოტა ხნის წინ ჩაეყარა საფუძველი. როცა ფულს აბანდებ, უკუგებაც უნდა იყოს და ამაში მხოლოდ ფულის ფულად ამოღებას არა ვგულისხმობ, არამედ სპორტულ შედეგსაც. ჩვენ სხვა ქვეყნებისგან განსხვავებით არ გვაქვს ისეთი გამართული ინფრასტრუქტურა, რომ ძვირადღირებული ლეგიონერები ჩამოვიყვანოთ. თუმც გიორგი ნემსაძე მოვიყვანეთ „დინამოში". საქმე თანმიმდევრულად უნდა ვაკეთოთ და ახლა ლეგიონერების მიწვევა ფულის წყალში გადაყრა და გულშემატკივრისთვის თვალში ნაცრის შეყრა იქნებოდა.

— მერედა, სამ წელიწადში შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა ვერ მოხერხდა?

— ინფრასტრუქტურის შექმნა უწყვეტი პროცესია და საკითხს ისე ვერ დავაყენებთ, რომ თუ ინფრასტრუქტურა არ არის, ინვესტიციები არ ჩაიდება. მაგრამ ყველაფერი შედარებითია და ჩვენ ვერ გავუტოლდებით, ვთქვათ, მოსკოვის „ლოკომოტივს" — იქ სულ სხვა მასშტაბებია, კლუბის ბიუჯეტის 60 პროცენტი მხოლოდ გუნდის გადაადგილებაზე იხარჯება. საქართველოს მასშტაბებით კი „დინამოში" მართლაც დიდი ინვესტიციაა ჩადებული.

— „დინამომ" ხომ საქართველოს მიღმაც უნდა ითამაშოს...

— ერთხელაც ვიტყვი, ყველაფერი თანდათან უნდა გაკეთდეს, თორემ ერთი ხელის მოსმით მართლაც შეიძლება საერთაშორისო დონეზე რაღაც წარმატების მიღწევა, მაგრამ ამას მალევე მოჰყვება უკუსვლა. ვფიქრობ, გუნდის 80 პროცენტი ადგილობრივი, შენივე აღზრდილი კადრებით უნდა დაკომპლექტდეს, დანარჩენი 20 პროცენტი კი მოწვეული ფეხბურთელებით შეივსოს. ჩემი მოვალეობაა, რომ კლუბის პოლიტიკა იყოს მიზანმიმართული და ეფექტური.

— თქვენეული პოლიტიკით რას უნდა ველოდოთ „დინამოსგან" დამდეგი სეზონის ევროტურნირზე?

— თუ „დინამო" ორ ეტაპს გადალახავს, ასეთ შედეგს წარმატებულად ჩავთვლით. თუმც ყველანაირად ვეცდებით, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოხვედრას.

— „დინამო" რომ წლეულსაც საქართველოს ჩემპიონი გახდება, ამაში უკვე დარწმუნებული ხართ?

— „დინამოს" მორიგ ჩემპიონობას ეჭვის ქვეშ მართლაც არ ვაყენებ — გუნდში ფეხბურთელთა ღირსეული ცვლა მოდის. ჩემპიონატის განახლებას ოლიმპიური სიმშვიდით ველოდები, თუმც სანერვიულო მაინც არის — ჩემპიონობის შენარჩუნება უფრო რთულია, ვიდრე მისი მოპოვება.

— ადრეც გითქვამთ, „დინამოს" ფინანსური რესურსების მხრივ არანაირი პრობლემა არ აქვსო, მაგრამ ფაქტია, რომ „დინამომ" ვერ შეძლო ქუთაისის „ტორპედოს" და თბილისური „ლოკომოტივის" იმ ფეხბურთელების ყიდვა, რომლებსაც ეროვნულ ნაკრებშიც კი არ ეთამაშათ...

— მალხაზ ასათიანში „ტორპედომ" იმდენად არაკორექტული თანხა მოითხოვა, რომ არ გვინდოდა სულელი ადამიანების როლში აღმოჩენილიყავით. ამ თანხის დასახელებისგან თავს შევიკავებ, რადგან ეს რომ გავაკეთო, ისეთივე არაკორექტული იქნება, როგორიც „ტორპედოს" მიერ მოთხოვნილი თანხა. ასეთი ფულით ჩვენ ხუთი ასათიანის გამოზრდა შეგვიძლია. ფაქტობრივად, იგივე განმეორდა სირაძის შემთხვევაშიც. საფეხბურთო ბაზრის ფასები ხომ ჩვენთვისაც კარგადაა ცნობილი.

— ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივში" აღმოჩნდა და ალბათ, ეს კლუბიც კარგად ერკვევა საბაზრო ფასებში...

— ჰოდა, „ლოკომოტივს" არც გადაუხდია იმდენი თანხა, რასაც ასათიანში ჩვენგან ითხოვდნენ.

— ანუ, რახან „დინამოა", მისთვის მეტი უნდა მოეთხოვათ — ასეთი იყო „ტორპედოს" პოზიცია?

— არა, მაგრამ ის პირობები, რითაც „ლოკომოტივმა" აიყვანა ასათიანი, ჩვენთვის რომ შემოეთავაზებინა „ტორპედოს", ჩვენ ამას დავთანხმდებოდით. აქ ლაპარაკია ფეხბურთელის სამომავლო ტრანსფერიდან თანხის განაწილებაზე.

— ჩვენი ინფორმაციით, „დინამოში" არის ორი ისეთი ფეხბურთელი, რომლებსაც ამ ეტაპზე კლუბი არსად გაუშვებს — დავით კვირკველია და ლადო ახალაია.

— მართლაც გვყავს რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც „დინამოსთვის" ჯერ ბოლომდე არ დახარჯულან და ისინი იმ ღერძს წარმოადგენენ, რომელზეც უნდა ჩამოვაყალიბოთ გუნდი — ჩვენ მათ შენარჩუნებას ვეცდებით. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ შევიმუშავეთ დინამოელის საგანგებო კოდექსი და ვინც დისციპლინას დაარღვევს, მსაჯებს უღირსად მოექცევა, ძალიან მკაცრად დავსჯით.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გაურკვევლობაა და გენერალურმა მდივანმა რამდენიმე უცნაურ ფრაზას ისიც მიაყოლა, უმწვრთნელოდ დარჩენილ ეროვნულ ნაკრებს კვიპროსში ივო შუშაკი დახვდებაო.

— შუშაკს „დინამოსთან" კონტრაქტი აკავშირებს, გუნდს სეზონის განახლებისთვის ამზადებს შეკრებაზე. კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ მწვრთნელმა ერთდროულად იმუშავოს კლუბშიც და ნაკრებშიც.

— მოკლედ, შუშაკის ნაკრებში გამწვრთნელებას გამორიცხავთ?

— გააჩნია, რა შემოთავაზება იქნება — ფედერაციის ხელმძღვანელობა ჯერ არ დაგველაპარაკებია ამის თაობაზე. ისე კი, ამ სეზონს შუშაკი ნაღდად „დინამოში" ჩაამთავრებს.

— ანუ კვიპროსის ტურნირზე ის ნაკრებს არ გაწვრთნის...

— ასეთი რამ ვერ წარმომიდგენია.

— ფედერაციის პრეზიდენტის წინა არჩევნებზე თქვენ საკუთარი კანდიდატურა წამოაყენეთ — ხომ არ აპირებთ, იგივე გააკეთოთ მომავალ არჩევნებზეც?

— ამაზე საუბარი ჯერ ადრეა — „დინამოში" მუშაობა ჩემთვის დიდი გამოწვევაა. მერე კი ვნახოთ...

**დავით თავართქილაძე**

# მუმუგოლი ფინალში

*დღეს გრაცის „შტურმი" და დავით მუჯირი „ანთალიის თასის" ფინალში ბუქარესტის „რაპიდს" შეერკინებიან და ამით დაასრულებენ თურქულ შეკრებას. ფინალისკენ სავალი გზა კი „შტურმს" ქართველმა ნახევარმცველმა გაუკაფა. „მუმუმ" ჯგუფში გადამწყვეტი გოლი გაუტანა ბელგრადულ ოფკ-ს და თავისიანებს ფინალი დაუბევა, გუშინ კი ჩვენ გვესაუბრა*




— ბოლოსლა გადაწყდა, რომ „ანთალიის თასზე" ვითამაშებდით. ცოტა ძნელი კი იყო ორჯერადი დამქანცველი ვარჯიშების შემდეგ ტურნირში მონაწილეობა, მაგრამ სხვა გუნდებიც ხომ ჩვენს დღეში იყვნენ. თან შეკრების პირველი კვირისგან განსხვავებით, ახლა შედარებით მსუბუქად გვავარჯიშებენ.

— ტურნირზეც გვითხარი ორი სიტყვა...

— ექვსი გუნდი ორ ჯგუფად იყო დაყოფილი. ჩვენ ჯერ პოლონურ „გროცლინს" 0:0 ვეთამაშეთ, მეორე დღეს კი გადამწყვეტ მატჩში ჩემი გოლით მოვუგეთ ბელგრადის ოფკ-ს. ახლა ფინალიღა დაგვრჩა. იმედი მაქვს, „რაპიდსაც" დავამარცხებთ და ჩემპიონები გავხდებით.

— ორივე მატჩში სრულად ითამაშე. ეტყობა, მწვრთნელი გენდობა...

— ასე გამოდის. მოსამზადებელი ეტაპია და მწვრთნელიც ფეხბურთელებს ხშირად ცვლიდა, მაგრამ ეს მე არ შემხებია. სიმართლე გითხრა, ახლა ისეთი დაღლილი ვარ, რომ ფეხზე დგომაც მიჭირს, მაგრამ არა უშავს, გავუძლებ.

— ისე, ბოლოხანს გოლების გატანას მოუხშირე. გრაცის საშობაო ტურნირზე სულაც ბომბარდირი გახდი. თურქეთშიც გაგაქვს. ამპლუა ხომ არ შეგიცვლია?

— არა, ისევ ნახევარმცველი ვარ. გოლები მართლაც ხშირად გამაქვს, მაგრამ ისიც გაითვალისწინეთ, რომ გრაცში მინი-ფეხბურთის ტურნირი იყო. ჩემთვის ხომ დარბაზში თამაში არც ისე დიდი პრობლემაა და ამიტომ ბომბარდირობაც არ გამკვირვებია. თუმცა ეს სერია თურქეთშიც გამიგრძელდა და ძალიან მინდა, ავსტრიის ჩემპიონატშიც გამოვიჩინო თავი.

— თურქულ შეკრებას უკვე ამთავრებთ. მერე სად გააგრძელებთ მზადებას?

— გრაცში, ჩვენს ბაზაზე გვექნება ორკვირიანი შეკრება და მერე ჩემპიონატიც განახლდება. პირველი მატჩი 21 თებერვალს „ზალცბურგთან" გვაქვს.

**კახა შალამბერიძე**

*საზოგადოდ, ყველა მშობელი ამბობს, რომ შვილის მომავალი საქმიანობის შერჩევაში არ ჩაერევა, თუმცა ქვეცნობიერად ალბათ ყველა მშობელს სურს, შვილი მის ხელობას გაჰყვეს. ჩვენთან მამის საქმეს თუ რამეში გაჰყოლიან, პირველ რიგში, ფეხბურთი ყოფილა. თან ფეხბურთი ქართულ გენში ზის, კაცურია. ბიჭების უმეტესობა ფეხბურთელობაზე ოცნებობს და თუკი მაგალითის მიმცემი უახლოესი ადამიანი ჰყავს, იშვიათად, სხვა რამ ირჩიოს.*

*საქართველოში ბევრი დიდი ფეხბურთელი გვყოლია. ბევრის შვილი დასდგომია მამის გზას, ბურთის გორებაც არ შეშლია, მაგრამ მამასავით სახელოვანი ვერ დამდგარა. თუმცა გამონაკლისებიც არიან და სწორედ ამან გვაფიქრებინა ახალი რუბრიკის შემოღება.*

*რუბრიკის პირველი სტუმრები ოთარ და ლევან კორღალიძეები არიან*



# პასი არავის ახსოვს, გოლი ყოველთვის რჩება

*მამა-შვილ კორღალიძეებს შორის საოცარი ფიზიკური მსგავსებაა, თუმცა უფრო საოცარი არის ის, რომ მათ საფეხბურთო გზაზეც იგივე ითქმის. ოთარ კორღალიძეს 17 წლისას ჰქონდა დებიუტი ლანჩხუთის „გურიაში“ და იმ მატჩში გოლის გატანა შეძლო, 17 წლის იყო ლევანიც, პირველად რომ მოირგო „გურიას“ მაისური და მანაც გოლი გაიტანა...*

**ლევანი**: რა დამავიწყებს იმ დღეს, თბილისის „დინამოს“ ვეთამაშებოდით. მე რომ შემიშვეს მოედანზე, 0:1-ს ვაგებდით და ანგარიში გავათანაბრე. კინაღამ გავგიჟდი სიხარულით...

**ოთარი**: იმას რატომ არ ამბობ, ის მატჩი როგორ დამთავრდა?

**ლევანი**: 1:4 წავაგეთ. მერე რა, მე მაინც ბედნიერი ვიყავი, პირველ თამაშში „დინამოს“ ხომ გავუტანე. შენ არ მეუბნებოდი ყოველთვის, კარგი დასაწყისი საქმის ნახევარიაო...

*ლანჩხუთის „გურიაში“ კორღალიძეებს ერთადაც უთამაშიათ. ეს კი მართლაც იშვიათი შემთხვევაა თუნდაც იმიტომ, რომ მამა-შვილს შორის სხვაობა 21 წელია.*

**ოთარი**: ჩვენი ერთად თამაში მართლაც გამორჩეულად მახსოვს. მამისთვის ეს სხვა განცდაა. ამაყი ვიყავი, თანაც იმედიანი...

**ლევანი**: რა ვითამაშეთ ერთად ასეთი? ერთხელ იყო, შენ მოედანზე იყავი და შეცვლაზე შემიყვანეს, ეგ იყო და ეგ. არადა, მაშინ მატჩის 90-ე წუთი იყო. ერთი მოვასწარი, მამა პასი-მეთქი და მსაჯმა თამაში დაამთავრა...

**— მამის წინააღმდეგ თუ გითამაშია?**

— გასართობად კი. ისე, საცოდაობა იყო ჩვენი სხვადასხვა მხარეს ყოფნა, თანაგუნდელებს ხშირად ეშლებოდათ, ოთარისთვის მისაცემ პასს მე მაძლევდნენ და პირიქით...

*მამა-შვილს „გურიას“ გარდა თბილისის „დინამოში“ და ავსტრიულ „ვიენერ შპორტკლუბშიც“ უთამაშია. ესეც იშვიათი შემთხვევაა. ოთარ კორღალიძე ჩაკეტილი საბჭოთა სივრცის ფეხბურთელი იყო, მაგრამ მაინც მოახერხა ლეგიონერობა, მეტიც, ავსტრიის გარდა ესტონეთსა და აზერბაიჯანშიც მოასწრო ბურთის გაგორება. მამა-შვილი ერთ გუნდში მწვრთნელ-ფეხბურთელადაც ყოფილა. ეს თბილისური „არსენალი“ იყო...*

**ოთარი**: ავსტრიაში ზალცბურგის „კაზინოშიც“ ვთამაშობდი. თანაც მაშინ, ამ გუნდმა უეფას თასის ფინალი რომ ითამაშა. საუეფასთასო განაცხადში ჩემი შეყვანა ვერ მოახერხეს, ამიტომ მარტო ჩემპიონატში მიწევდა მოედანზე გასვლა.

**— თქვენსა და ლევანის კარიერაში საერთო ისიცაა, რომ ორივეს გზამ ბალტიისპირეთზე გაიარა...**

— ესეც შემთხვევით მოხდა. ესტონური „ფლორა“ ხელსაყრელი წინადადებით დამიკავშირდა. ერთბაშად ორი კურდღელი დავიჭირე, თან ვთამაშობდი, თანაც გუნდს ვწვრთნიდი. მოკლედ, კმაყოფილი ვიყავი. კარგი სკოლა გაიარა ლევანმა ლატვიურ „სკონტოში“, მაგრამ დღეს უკვე შვილს ამ გუნდში დარჩენას არ ვუსურვებ, ვთვლი, რომ მან „სკონტოსგან“ მაქსიმუმი მიიღო.

**— მამას უნდოდა შვილის ფეხბურთელობა?**

— არასდროს მქონია ამის მოთხოვნა. მით უფრო, რომ ჩვენს ოჯახში ერთი ფეხბურთელიც საკმარისი იყო. დედაჩემი და ჩემი მეუღლე ფეხბურთის გადამკიდე ისედაც ბევრს წუწუნებდნენ, ლევანს ხომ საერთოდ უკრძალავდნენ ბურთისკენ გახედვას... მახსოვს, ლევანი პატარა იყო და რუსეთიდან სასკოლო ფორმა ჩამოვუტანე. ცოტა ხანში შევნიშნე, რომ პიჯაკი არასდროს ეცვა. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა, როცა დაჭმუჭნილი პიჯაკი ჩანთაში უპოვეს ლევანს. თურმე ამრგვალებდა, ბაწრით კრავდა და ფეხბურთს იმით თამაშობდა.

**ლევანი**: აბა, რა უნდა მექნა?! ჩვენს სახლში პურზე ხშირად ბურთებს ჭრიდნენ... ფეხბურთელობა ჩემი ბავშვობის ოცნება იყო. სხვაგვარად ვერც იქნებოდა, მე ხომ ლანჩხუთში ფაქტობრივად იმ კარის უკან გავიზარდე, რომელსაც მამა უტევდა. როგორც ოთარის შვილი, პრივილეგირებული ვიყავი და თამაშისას კარის უკან მიშვებდნენ. ის წუთები, მაშინდელი განცდა დაუვიწყარია ჩემთვის.

**ოთარი**: ლევანი დიდი სტიმული იყო ჩემთვის, უპირველესად, მისთვის ვთამაშობდი... ერთხელ რალაც საქველმოქმედო მატჩი იყო თურქულ „რიზესფორთან“, ცენტრიდან გავიტანე გოლი. არ მავიწყდება ლევანის სახე, ისეთი აღტაცებული იყო მაშინ...

**ლევანი**: ჰო, მეც კარგად მახსოვს. ორმეტრიანი მეკარე იყო, ბურთი თამაშში შეიყვანა და შენ ცენტრში შეაგებე ბურთს ფეხი, ეგეთი გოლი მას მერე არ მინახავს.

**— ოჯახში ფეხბურთზე თუ კამათობთ?**

**ოთარი**: იშვიათად, რადგან სხვადასხვა ქვეყნებში ვცხოვრობთ, თუმც როცა ერთად ვართ, ფეხბურთზე საუბარი გვიყვარს. კამათიც მოგვსვლია, თუმც ჩხუბზე არ გადავსულვართ...

**ლევანი**: მე და მამას, რა თქმა უნდა, განსხვავებული შეხედულებები გვაქვს ფეხბურთზე, თუმც გემოვნებაში ბევრი საერთოც გვაქვს და უფრო ამის გამო ვუგებთ ერთმანეთს.

**— ერთად თუ ერთობით?**

**ოთარი**: ლევანმა იცის ჩემი გემოვნება... ლატვიიდან ჩამოსვლისას ჩემი საყვარელი ვისკი ჩამოაქვს, თავის მეგობრებსაც მოიწვევს, მე ჩემებს დავახვედრებ და ვჭუკჭუკებთ გემრიელად, ოღონდ, ბუნებრივია, სმაში თანამეინახედ ვერ გამოდგება, ისეთი რეჟიმისტია, მაოცებს. გამორიცხულია, ალკოჰოლი მიიღოს, სიგარეტი მოწიოს. ჭამითაც რაციონალურად იკვებება. მე რომ ასე ვყოფილიყავი... ეჰ, ჩემი ფეხბურთელობისას სხვა დრო იყო...

**— გაიხსენეთ ის დრო...**

— მაშინ ფეხბურთელობა სხვა რამეს ნიშნავდა. ჩვენ ხალხისგან, ქომაგისგან ვიყავით განებივრებულნი. ათი წელი ისე დავდიოდი მანქანით, მართვის მოწმობა არ მქონია, არც მჭირდებოდა. „ეს დინამოელია... თქვენი ჭირიმე, ბიჭებო... გუშინ მაგრები იყავით, გამაცოცხლეთ კაცი“... სულ ასეთი სიტყვები გვესმოდა, ამით ვცხოვრობდით და ხალხის სიხარულისთვის ვმუშაობდით. აღიარება — ეს იყო ჩვენთვის ყველაზე დიდი ჯილდო. ეს, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია. დღესდღეობით ფეხბურთს ამ მხრივ დიდი ფასეულობა მოაკლდა, მაგრამ ყოველივეს თავისი ნაკლიც ჰქონდა მაშინ. ნაცნობ-სააზლობლო ხელის გულზე დაგვატარებდა დინამოელებს. გადაპატიჟება, გადმოპატიჟება... ქართველების ამბავი ხომ იცით, არაფერზე ვამბობდით უარს. ამიტომ არის, დღეს ძმაკაცებს რომ ვეუბნები, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, საბჭოთა კავშირის ნაკრებში ვითამაშებდი-მეთქი.

**— თქვენ დაკარგული საფეხბურთო ფასეულობა ახსენეთ. ფეხბურთი დღეს, ფაქტობრივად, ბიზნესთან, ფულთან არის გაიგივებული. ბევრი მამისთვის შვილის ფეხბურთელობა თვითმიზანია, რათა ამით შემოსავალი მიიღოს მომავალში.**

## მე და მამა ვმეტოქეობთ

— თანამედროვე ფეხბურთი და ფული მართლაც განუყოფელია და ეგებ ქართული ფეხბურთის ერთ-ერთი პრობლემა ესეც იყოს. ჩვენ საბჭოთა ფეხბურთზე ვართ გაზრდილი. საბჭოთა ფეხბურთი კი ბიზნესი არ იყო... რა თქმა უნდა, დღეს დიდი სურვილია ფეხბურთელის გაყიდვით ფულის შოვნისა, მაგრამ როგორ კეთდება ეს? სამი თვე რომ ტრაპიდან ტრაპზე ატარებ ბიჭს, განა შეიძლება, იმან ფეხბურთი ითამაშოს და ჯიბე შეგივსოს? რამდენი ასეთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია... ისიც ბევრჯერ ყოფილა, 5000 დოლარად გაყიდული ფეხბურთელი ქართულ კლუბს ათჯერ ძვირად რომ დაუბრუნებია, ამით იმის თქმა მსურს, რომ ძველი დრო არ დაბრუნდება. დღეს ფეხბურთი ბიზნესია, ბიზნესს კი თავის წესები აქვს და ამ წესებს სწავლა სჭირდება...

**— ლევან, ქართული ფეხბურთის ყველაზე დიდ პრობლემად რას თვლი?**

— ლატვიელები მეუბნებიან, „გრუზინა გუბიტ გორდასტ“-ო და ეს სიმართლეა.

**— მაშინ არ იყვნენ ამაყნი ქართველები, თასების თასი რომ ასწიეს?**

— მაშინაც იყვნენ, თუმც სიამაყეს ბევრჯერ დავუღუპივართ. რა, მაშინდელ თაობას უფრო ბევრის მიღწევა არ შეეძლო? რაღაც ჩვენმა თაობამაც გააკეთა, პატარა ამბავია, კალაძემ ჩემპიონთა თასი რომ ასწია?! თუმც ეს ხომ მაქსიმუმი არ არის.

**— მამაშენის თაობამ უფრო მეტს მიაღწია ფეხბურთში თუ შენმა თაობამ?**

— რა თქმა უნდა, ძველი თაობის ღვაწლი ფასდაუდებელია, მე მათი მაგალითით გავხდი ფეხბურთელი. ჩვენს თაობას კი, მიუხედავად კალაძის წარმატებისა, ჯერჯერობით თავისი შვილებისთვის ასეთი მაგალითი არ მიუცია.

**— რა აქვთ საერთო ლევან და ოთარ კორღალიძეებს როგორც ფეხბურთელებს?**

**ოთარი**: ლევანი ჩემსავით ტექნიკურია, თუმც ჩემზე სწრაფი, მაგრამ ჩემგან განსხვავებით ესენგეს თასამდე სითამამე აკლდა. ვთვლი, რომ ფეხბურთელი გარკვეულწილად მოურიდებელი უნდა იყოს... ძალიან კარგია, მოხდენილი პასით თანაგუნდელს გოლს რომ ატანინებ, მაგრამ იმ თამაშის შემდეგ ის პასი არავის გაახსენდება, გოლი ყოველთვის რჩება, მის გატანას კი სითამამე სჭირდება.

**ლევანი**: რა გინდა, ხომ გავითვალისწინე შენი რჩევები, რამდენჯერ თქვა ჩემზე რუსმა კომენტატორმა ესენგეზე, „პაატცოვსკი იგრაეტ“-ო.

**— ქართული ფეხბურთის სათავეში რომ იყოთ, რას შეცვლიდით?**

**ოთარი**: აბსურდია საქმის კეთება ნაკრებში, როცა სამ თვეში ერთხელ მწვრთნელი იცვლება. აიღეთ ლატვიის მაგალითი. რამდენი წელია, სტარკოვსი ნაკრებშია?! ამ კაცის ხელში ლატვიელებმა უზბეკეთთან და ყაზახეთთანაც კი წააგეს, მაგრამ ამის გამო მწვრთნელი არავის დაუთხოვია. სტარკოვსს დრო მისცეს, დრო კი ყველაზე მეტად სჭირდება მწვრთნელს...

**— მამა-შვილი რას უსურვებთ ერთმანეთს?**

**ოთარი**: როგორც ფეხბურთელი, 23-24 წლისა გავიხსენი, მას შემდეგ აეწყო კარგად ჩემი საქმე, მას შემდეგ ვითამაშე დიდი ფეხბურთი... ლევანიც გვიან ათამაშდა, ამაშიც დამემსგავსა. სულ მეუბნებოდა, როდის მოვუმატებ, მამა, როდისო. ვფიქრობ, მისი აღმასვლა დაიწყო და ბევრს მიაღწევს... წარმატებას და აღიარებას გისურვებ, ლევან...

**ლევანი**: ვიცი, უფეხბურთოდ ცხოვრება არ შეგიძლია, ფეხბურთის თამაშს რომ თავი დაანებე, მწვრთნელობა დაიწყე, თუმც დღეს ისვენებ. პაუზა გვარიანად გაგიგრძელდა, მინდა, შენს საქმეს დაუბრუნდე. ვიცი, გამოგივა...

**პაატა ქვანტალიანი**





კორღალიძეები: იპოვეთ განსხვავება

ეროვნული ბიბლიოთეკა







ტოტენჰემი — მანჩესტერ სიტი. 3:0-დან 3:4-მდე. „სიტური" გოლების ქრონოლოგია

## ინგლისი

ასოციაციის თასი
1/16 ფინალი
გადათამაშება

**ტოტენჰემი 3:4 *მანჩესტერ სიტი***
1:0 კინგი (2), 2:0 კინი (19), 3:0 ციგე (43), 3:1 დისტინი (48), 3:2 გარდნერი (6ჩ.კ.), 3:3 რაიტ-ფილიპსი (80), 3:4 მაკენი (90)
**ტოტენჰემი:** კელერი, კარი, რიჩარდსი, ე. გარდნერი, ციგე (ჯეკსონი 60), ს. დალმა, კინგი, მ. ბრაუნი, ს. დევისი, რობი კინი, პოსტიგა (პოიეტი 9)
მწვრთნელი: დევიდ პლიტი
**მანჩესტერ სიტი:** არასონი, ჟიხაი, რ. დანი, დისტინი, ტარნატი, რაიტ-ფილიპსი, ჯ. ბარტონი, ბოსველტი (სიბიერსკი 80), ტ. სინკლერი (მაკმანამანი 80), ანელკა (მაკენი 27), ფაულერი
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: ბარტონი, ბოსველტი, ბარტონი, ჟიხაი
გაძევება: ბარტონი (45)
მსაჯი: სტაილზი
30 400 მაყურებელი

**ფულემი 2:1დ.დ.(1:1) ევერტონი**
1:0 ინამოტო (57), 1:1 ჯეფერსი (90), 2:1 მალბრანკი (102)

**ტელფორდი — მილუოლი**
*გაიმართება 10 თებერვალს*

# ეს ეხსომებათ
## კევინ კიგანის ძველებური ილეთი

ინგლისის ასოციაციის თასის გადათამაშებებმა ორი საოცარი სანახაობა გამოდნო: „ფულემმა" 2:1 მოუგო „ევერტონს" დამატებით დროში, ხოლო „მანჩესტერ სიტიმ" 0:3-დან შემოატრიალა თამაში „უაით ჰარტ ლეინზე" და „ტოტენჰემი" მეხუთე რაუნდის, მერვედფინალის გარეშე დატოვა.

„სიტიმ" ისე ითამაშა, როგორც ერთ დროს სჩვეოდათ კევინ კიგანის გუნდებს. დაუვიწყარი სანახაობის პირველი ნახევარი კი სამი ბურთით მოიგო „ტოტენჰემმა". ლედლი კინგის ადრიან გოლს რობი კინმა მე-19-ე წუთზე მეორე მიაყოლა, ტაიმის ბოლოს კი კრისტიან ციგემ ჯარიმა შეაგდო. ამას ისიც დაერთო, რომ „სიტის" ჯოი ბარტონი გაუძევეს ორი ყვითლით, რის გამოც მეორე ტაიმი ათი კაცით დაიწყო. მაგრამ მალევე მიხაელ ტარნატის ჭკვიანურმა საჯარიმომ სილვენ დისტინი მოძებნა, რასაც 13 წუთში პოლ ბოსველტის დარტყმა მოჰყვა, რომელიც ენტონი გარდნერის ავტოგოლად ჩაითვალა.

ამ დროიდან „სიტის" თამაში სრულიად გარდაიქმნა და როცა მე-80 წუთზე შონ რაიტ-ფილიპსმა ლამაზი გოლით გაათანაბრა, თუმცაღა ეს გოლი თამაშგარესაც ჰგავდა, ეჭვს აღარ იწვევდა, რომ „სიტი" მოიგებდა. „ტოტენჰემი" სრულიად აჭრილი იყო და თამაში დამატებით დროშიც ვერ გადაიტანა. 92-ე წუთზე, კვლავ ტარნატის ჩაწოდებულს ჯონ მაკენმა თავი შეაგება და კიგანის გუნდი შემდეგ წრეში გავიდა. მაკენი შემცვლელი იყო — ნიკოლა ანელკამ პირველ ტაიმშივე აიტკივა საზარდული.

„ჩვენ აღარ ვიქნებით, ეს თამაში კი ეხსომებათ" — ასეთი გახარებული იყო კიგანი, რომელსაც მეხუთე რაუნდში ძველი და ავი მეტოქე, „მანჩესტერ იუნაიტედი" ელის.

„ლოფტუს როუნდზე" კი „ფულემმა" და „ევერტონმა" 120 წუთი ითამაშეს. რაც ინგლისის თასი არსებობს, ეს ორი გუნდი წილისყრამ ოთხჯერ შეახვედრა ერთმანეთს, სულ შვიდი თამაში გამოსვლიათ და „ევერტონი" ერთხელაც არ გასულა შემდეგ წრეში. ამჯერადაც ასე გამოვიდა: იუნიჩი ინამოტოს შორეული დარტყმა, რომელმაც „ფულემი" დააწინაურა, ამ შეხვედრის ერთადერთ გოლს ჰგავდა, მაგრამ სწორედ რომ ბოლო წუთზე, ჯეიმს ჯეფერსმა თავურით გადაარჩინა „ევერტონი". ასე მოხდა ამ გუნდების წინა თამაშშიაც — სწორედ ჯეფერსის გოლმა აჩუქა „ევერტონს" გადათამაშება. თუმცა ეს არ იყო ამ თამაშის ბოლო გოლი — სტიდ მალბრანკმა პირველ დამატებით ტაიმში ხუთი მეტრიდან გაიტანა და „ფულემი" „ვესტ ჰემთან" საბრძოლველად გაამზადა.

იმავე დღეს ნიაღვრის გამო გადაიდო მცირე ლიგის „ტელფორდისა" და პირველდივიზიონელი „მილუოლის" თამაში, ხოლო მეორე დივიზიონის „კოლჩესტერმა" როუენ ვაინის ჰეთ თრიქით გააგდო მაღლალიგელი „ქოვენთრი". მეხუთე რაუნდის თამაშები 14 და 15 თებერვალს გაიმართება. მაგარი წყვილებია: „არსენალი"—„ჩელსი" და მანჩესტერული დერბი. გათამაშებაში დარჩენილია პირველი დივიზიონის 5, ხოლო მეორე დივიზიონის 2 გუნდი. არის მესამე დივიზიონის „სუონსიც" და მცირე ლიგის „ტელფორდიც", რომელიც „მილუოლთან" 10 თებერვალს ითამაშებს და მათგან გამარჯვებული „ბარნლის" შეხვდება.

**ირაკლი გამყრელიძე**

**1/8 ფინალის წილისყრა**
**14 თებერვალი:** მანჩესტერ იუნაიტედი — მანჩესტერ სიტი; ტრანმერი — სუონსი; ტელფორდი ან მილუოლი — ბარნლი; სანდერლენდი — ბირმინგემი; ფულემი — ვესტ ჰემი
**15 თებერვალი:** არსენალი — ჩელსი; ლივერპული — პორტსმუთი; შეფილდ იუნაიტედი — კოლჩესტერი



ადრიანოს და იგორ ტუდორის თავბურთი

# კარგი სანახაობა წყვილი დუბლით

## იტალია

თასის ნახევარფინალი
I მატჩი

**იუვენტუსი 2:2 ინტერი**
0:1 ადრიანო (3), 1:1 დი ვაიო (7), 1:2 ადრიანო (34), 2:2 დი ვაიო (70)
**იუვენტუსი:** კიმენტი, ფერარა (ნედვედი 79), ტუდორი, იულიანო, პესოტო, ძამბროტა (კამორანეზი 46), ა. კონტე (დელ პიერო 63), აპია, მარესკა, დი ვაიო, მიკოლი
მწვრთნელი: მარჩელო ლიპი
**ინტერი:** ტოლდო, ი. კორდობა, გამარა (ოკანი 17), ფ. კანავარო, ხ. ძანეტი, ფარინოსი, დ. სტანკოვიჩი, პასკუალე, კილი გონსალესი, ადრიანო, რეკობა (კორდაცი 64)
მწვრთნელი: ალბერტო ძაკერონი
გაფრთხილება: რეკობა, კორდაცი
გაძევება: ტოლდო (64)
მსაჯი: ბერტინი
25 237 მაყურებელი
*საპასუხო მატჩი გაიმართება 12 თებერვალს*

ოთხი გოლი, ერთი გაძევება და ძელის ხუთჯერ შეზანზარება — აი, ასეთი ნახევარფინალური მატჩი ითამაშეს „იუვენტუსმა" და „ინტერმა" ტურინის „სტადიო დელე ალპიზე". აქ, ამ სარბიელზე „ინტერს" რაღაც ბედი წყალობს. მიმდინარე სეზონში, სერია A-ს შეხვედრაში, „ინტერმა" „დელე ალპიზე" 3:1 მოიგო და აი, ახლაც, შეიძლება ითქვას, რომ ცალი ფეხი უკვე ფინალში აქვს, რადგან სტუმრად ორი გოლი შეაგდო.

„იუვენტუსმა" თავიდან რამდენიმე საუკეთესო ფეხბურთელიც დაასვენა და ექსპერიმენტსაც მიმართა, სამმცველიან დაცვაში წაივარჯიშა, ხოლო ტრავმებით შეწუხებულ „ინტერს" ისე გამოუვიდა, რომ საუკეთესო შემადგენლობით თამაშის გარდა სხვა ვარიანტიც არ ჰქონდა. პლუს ხულიო კრუზი ჰყავდა დაშავებული.

თამაში კი მეტისმეტად ემოციურად დაიწყო და ადრიანომ, რომელიც „ინტერში" ისე ათამაშდა, თითქოს სულ ორი-სამი კვირის მისული არ იყოს, მესამე წუთზევე გაუტანა მასპინძლებს. ეს ასე მოხდა: ალვარო რეკობამ ბურთი რომ ჩაჰკიდა, „იუვეს" მცველებს და მათ რიცხვში მარკ იულიანოს ეგონათ, რომ ადრიანო ოფსაიდში იდგა და ბრაზილიელის გოლს თვალი მაყურებლსავით ადევნეს.

„იუვენტუსს" გასათანაბრებლად ოთხი წუთი დასჭირდა — მარკო დი ვაიოს ამ გოლის შეგდებაში ფრიად შეუწყო ხელი „ინტერის" მეკარემ, ფრანჩესკო ტოლდომ. მეკარე ბურთის შორს დარტყმას ცდილობდა, მაგრამ ბურთი იქვე, ცხვირწინ ფაბრიციო მიკოლის მოხვდა და იქიდან დი ვაიოსთან გადახტა.

ამას მოჰყვა მოედნის ყველა მონაკვეთზე შეცდომების რიგი, რისი გაგრძელებაც იყო იულიანოს მორიგი შეცდომა და სახიფათო მომენტი მასპინძლების კართან — „იუვე" კილი გონსალესის დარტყმისგან მეკარე ანტონიო კიმენტიმ იხსნა. შემდეგ იულიანომ შეცდომის გამოსწორება კარგი შეტევით სცადა და დაარტყა ლონივრად, მაგრამ ახლა ტოლდომ იყოჩაღა.

ამის მერე „ინტერს" კარლოს გამარა დაუშავდა და მისი ადგილი ოკან ბურუქმა დაიკავა — ანუ „ინტერი" ოთხმცველიან სქემაზე გადავიდა.

მეორე გოლი „იუვენტუსის" კარში შესვენების წინ გავიდა. დამნაშავე კვლავ და კვლავ „იუვენტუსის" დაცვა გახლდათ, რეკობას მორიგ ჩაკიდებულს კი თავური აბსოლუტურად უმეთვალყურეო ადრიანომ დაარტყა. შემდეგ, ადრიანომ კინაღამ მესამეც შეაგდო (პასი ისე რეკობასი გახლდათ), მაგრამ კარი ჯანლუკა ძამბროტას განწირულმა ნახტომმა გადაარჩინა.

ტაიმის დასრულებამდე გოლის გატანის შანსი მასპინძლებსაც ჰქონდათ, მაგრამ მიკოლის დარტყმამ უმტყუნა. მეორე ტაიმში კი სურათი არ გამოცვლილა, ისევ ხალისიანი ფეხბურთი გაჩაღდა. მაგალითად, განახლდა თამაში და ერთ წუთში იგორ ტუდორმა გაარტყა ბურთი ძელს. ამის მერე დი ვაიომ გაუშვა ხელიდან მორიგი დიდებული შესაძლებლობა, რასაც აქეთ, ოკანის მიერ მასპინძლების ძელის შეყანყალება მოჰყვა, 63-ე წუთზე ძელს გაარტყა ადრიანომაც და ასე შემდეგ, სანამ „ინტერის" მეკარე ტოლდო დი ვაიოს საჯარიმოს გარეთ წაქცევისთვის არ გააძევეს და მის მაგივრად კარში 19 წლის ალექს კორდაცი არ ჩადგა. წამების შესულმა კორდაცმა კინაღამ მიკოლის დარტყმული გაუშვა.

70-ე წუთზე ჩირო ფერარას პასით დი ვაიომ გაათანაბრა, შემდეგ კი მოედანზე შესულმა პაველ ნედვედმა ძელს გაარტყა ბურთი, რასაც სულ ბოლოს ნედვედის კიდევ ერთი „ძელი" მოჰყვა.

**პაპუნა ძედია**

## საფრანგეთი

I დივიზიონი
გადადებული მატჩი

**მონპელიე 0:1 მარსელი**
0:1 დროგბა (65)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 22 | 14 | 6 | 2 | 37:16 | 48 |
| ლიონი | 22 | 13 | 5 | 4 | 39:17 | 44 |
| ოსერი | 22 | 13 | 2 | 7 | 39:18 | 41 |
| სოშო | 22 | 12 | 5 | 5 | 34:24 | 41 |
| პსჟ | 22 | 11 | 7 | 4 | 27:17 | 40 |
| მარსელი | 22 | 12 | 1 | 9 | 30:24 | 37 |
| ნანტი | 22 | 10 | 4 | 8 | 24:18 | 34 |
| ნიცა | 22 | 7 | 11 | 4 | 20:18 | 32 |
| ბორდო | 22 | 9 | 5 | 8 | 22:25 | 32 |
| ლანსი | 22 | 10 | 2 | 10 | 20:32 | 32 |
| რენი | 22 | 7 | 8 | 7 | 26:21 | 29 |
| სტრასბური | 22 | 7 | 5 | 10 | 33:34 | 26 |
| ლილი | 22 | 6 | 7 | 9 | 22:26 | 25 |
| ბასტია | 22 | 6 | 7 | 9 | 24:32 | 25 |
| აიაჩო | 22 | 6 | 5 | 11 | 20:31 | 23 |
| მონპელიე | 22 | 6 | 4 | 12 | 28:38 | 22 |
| მეცი | 22 | 5 | 6 | 11 | 16:23 | 21 |
| ლე მანი | 22 | 4 | 7 | 11 | 18:33 | 19 |
| ტულუზი | 22 | 4 | 6 | 12 | 16:31 | 18 |
| გენგამი | 22 | 5 | 3 | 14 | 19:36 | 18 |

**ლიგის თასი. 1/2 ფინალი**

**სენტ ეტიენი 2:3დ.დ.(2:2) *სოშო***
1:0 კარტერონი (18), 2:0 ლ. კომპანი (22), 2:1 მეთიუ (40), 2:2, 2:3 ორუმა (60, 103)
*ფინალში 17 აპრილს „სტად დე ფრანსზე" „ნანტი" და „სოშო" შეხვდებიან*

## ჰოლანდია

**ამსტელის თასი. 1/4 ფინალი**

**პსვ ეინდჰოვენი 0:1 *ბრედა***
0:1 ბუხარი (24)

***უტრეხტი* 3:2 ჰერაკლესი**
0:1 ბუიკემა (19), 1:1 ვან დენ ბერგი (29), 2:1 ვან დერ ჰაარი (60), 2:2 როსე (64), 3:2 ტანგე (82)

***ტვენტე* 3:1დ.დ.(1:1) ფეიენოორდი**
1:0 ნკუფო (20), 1:1 კუიტი (29), 2:1 სიბუმი (110), 3:1 კრისტენსენი (111)

**ნახევარფინალის წილისყრა**
სპარტა — უტრეხტი; ტვენტე — ბრედა

## გერმანია

**თასის მეოთხედფინალი**

**ალემანია 2:1 ბაიერნი**

1:0 ბლანკი (33), 1:1 ბალაკი (45), 2:1 მეიერი (81)

**ალემანია:** შტრაუბი, ლანდგრაფი, კლიცპერა, ლანძაატი, ბლანკი, გრლიჩი, დ. ბრინკმანი (პაულუსი 73), ფაილი (ე. ბედიაკო 88), პფლიპსენი, კრონტირისი (სალუ 69), მეიერი

**მწვრთნელი:** იორგ ბერგერი

**ბაიერნი:** კანი, სანიოლი, დემიკელისი, კუფური, ლიზარაზუ (კ. პიზარო 84), სალიჰამიჯიჩი, იერემისი (შვაინსტაიგერი 80), ჰარგრივსი, ბალაკი, მაკაი, სანტა კრუზი

**მწვრთნელი:** ოტმარ ჰიცფელდი

**გაფრთხილება:** ბრინკმანი, მეიერი, იერემისი, ბალაკი, სანიოლი

**მსაჯი:** ვაინერი

20 400 მაყურებელი

**ნახევარფინალის წილისყრა**

**ვერდერი — ლიუბეკი**

**ალემანია — მიონხენგლადბახი**

*მატჩები გაიმართება 16-17 მარტს*

# ფკ ბრექიდან ჩასვრილამდე

## ბაიერნს აახენში თასი აახიეს





ოლივერ კანი და „ბაიერნი" ერიკ მეიერმა დაზაფრა

ასეთი რამ ალბათ არასდროს მომხდარა — გერმანიის თასის ნახევარფინალში ორი დაბალლიგელი გუნდი გავიდა. ამათგან ერთმა, აახენის „ალემანიამ" თვით მიუნხენის „ბაიერნი" დაამარცხა.

დაამარცხა და, ატყდა ერთი ამბავი. „ბაიერნ, ჰა, ჰა, ჰა! დღეს მთელ ქვეყანა დაგცინის!" — დაწერა გერმანიის უდიდესტირაჟიანმა „ბილდმა".

არადა, თავიდან, როცა 33-ე წუთზე აახენელმა მცველმა სტეფან ბლანკმა ანგარიში გახსნა, განგაშის ზარი არავის შემოუკრავს. ბაიერნელებმა ეს გოლი მცირე გაუგებრობად მონათლეს. ხოლო როცა პირველი ტაიმის წამატებულ დროში მიხაელ ბალაკმა საპასუხო გოლი გაიტანა, ალბათ ეჭვი ალარავის ეპარებოდა, რომ „ბაიერნი" საქმეს საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანდა, მაგრამ...

„მეორე ტაიმში პირველზე უკეთ ვითამაშეთ, მაგრამ ჩვენს თამაშში მაინც არ იგრძნობოდა მეტოქის მოხრჩობის სურვილი — თქვა ნამატჩევს ოტმარ ჰიცფელდმა — აქედან გამომდინარე, მოწინაალმდეგეს შეტევის სურვილი და შესაძლებლობა ვერ ჩავუკალით, დაცვაში კი რამდენჯერმე უხეშად შევცდით. ერთი სიტყვით, საოცრად იმედგაცრუებული ვარ."

სენსაციის გამომცხობი გოლი მეორებუნდესლიგელთა ჰოლანდიელმა ფორვარდმა ერიკ მეიერმა თამაშის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე გაიტანა.

„დიადი" „ბაიერნი". თამაშის დაწყებამდე ის „ფკ ბრექი" იყო, თამაშის მერე კი „ფკ ჩასვრილად" გადაიქცა" — ესეც „ბილდმა" დაწერა.

აახენელთა მწვრთნელმა გეორგ ბერგერმა კი განაცხადა: „როცა ტრიბუნები ჩვენი გულშემატკივრებით არის სავსე, სასწაულების მოხდენა შეგვიძლია. ისე, თამაშის შემხედვარე ვერც იტყვით, რომ ეს სასწაული იყო. ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ, განსაკუთრებით პირველ ტაიმში და ამის გამო, გამარჯვებასსავსებით დამსახურებულად მივიჩნევ. გამართლება არაფერ შუაშია."

აახენელები აქამდეც გასულან გერმანიის თასის ნახევარფინალში, ოღონდ ეს მთელი 34 წლის წინ მოხდა. ფინალში გასასვლელად მათ მიონხენგლადბახის „ბორუსია" უნდა დაამარცხონ.

„ბაიერნისთვის" კი ეს ზედიზედ მეორე წარუმატებელი მატჩი იყო. იქამდე მიუნხენელებმა ბუნდესლიგის ტურში მაჩანჩალა ფრანკფურტის „აინტრახტთან" ფრედ ითამაშეს და ლიდერს კიდევ უფრო ჩამორჩნენ.

წინ კი გერმანიის ჩემპიონს ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში მადრიდის „რეალთან" ბრძოლა ელის.

„თუ ვინმე ფიქრობს, „ბაიერნმა" „ალემანიას" ვერ მოუგო და „რეალს" რას დააკლებსო, ძალიან ცდება — თქვა ჰიცფელდმა — ესე იგი, ჩვენს ამბიციას სათანადოდ ვერ აფასებთ. აახენელებთან მარცხის გამო თავის მართლებას არ ვაპირებ, მაგრამ „რეალს" სულ სხვა „ბაიერნთან" მოუწევს ბრძოლა."

**ირაკლი ნინიძე**

# შტეხმა გატეხა

## ესპანეთი

**სამეფო თასის ½ ფინალი. I მატჩი**

**რეალი 2:0 სევილია**

1:0 სოლარი (55), 2:0 რაული (75)

**რეალი:** სესარი, სალგადო, რაულ ბრავო, ი. ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ (პორტილიო 32), ბექემი, სოლარი (ხუანფრანი 86), ზიდანი, რაული, გუტი

**მწვრთნელი:** კარლუშ კეიროში

**სევილია:** ესტებანი, ხავი ნავარო, დავიდ კასტედო, დანიელ ალვესი, ხ. რედონდო, ანტონიო ლოპესი (ანტონიტო 68), პაბლო ალფარო, ტორადო, მარტი, ბაპტისტა, დარიო სილვა (მარანიონი 89)

**მწვრთნელი:** ხოაკინ კაპაროსი

**გაფრთხილება:** სოლარი, სალგადო, აიტორ ოსიო („სევილიის" სათადარიგოთა სკამზე)

**მსაჯი:** ტურიენსო ალვარესი

65 314 მაყურებელი

*საპასუხო მატჩი გაიმართება 11 თებერვალს*



„სევილიას" მეორე რაულმა გაუტანა

ძნელი წარმოსადგენია, რომ მადრიდის „რეალი" სამეფო თასის ფინალს მიღმა დარჩეს, მას მერე, რაც პირველ ნახევარფინალურ შეხვედრაში „სევილია" სანტიაგო სოლარისა და რაულის მეორე ტაიმში გატანილი გოლებით დაამარცხა.

შესვენებიდან ათ წუთში სოლარიმ საჯარიმო მოედნის კიდიდან დასცხო, რითაც თამაშში გარდატეხა შეიტანა. იქამდე მადრიდელები სევილიელებს ბევრით ვერაფრით სჯობდნენ.

რეალელებს, რომლებსაც რონალდო აკლდათ, პირველ ტაიმში საოცრად ღალატობდათ სიზუსტე. რაულმა ზიდანის ჩინებული პასი ვერ შეირგო და სადღაც დაარტყა. იგივე დაემართათ ხავიერ პორტილიოს და ივან ელგერას.

სიზუსტე აკლდათ სტუმრებსაც. დარიო სილვას და მარტის იქით შეეძლოთ ანგარიშის გახსნა.

თამაშში გარდატეხა კი, როგორც მოგახსენეთ, სოლარიმ შეიტანა. სხვათა შორის, მეორე გოლისას სწორედ ის მოემსახურა რაულს. გოლებს შორის კი რობერტო კარლოსმა, გუტიმ და ზიდანმა გააცუდეს კარგი მომენტები.

ნამატჩევს კი დევიდ ბექემმა თქვა, ამ ძნელ მატჩში სულის უტეხობა დავამტკიცეთ და ჯერ კიდევ სად ხართო.

**კოტე კეკელია**

# გადართეთ საკუთარ არხზე

## ტელევიზიის წაღებულს ტელევიზია მოიტანს

**ის დრო წავიდა,** ფეხურთში ფულს ზურგსუკან სროლით რომ აბანდებდნენ. ერთადერთი ხელგაშლილი კაცი დღეს რომან აბრამოვიჩია, რომლის „ჩელსიმაც" ჯერჯერობით „მანჩესტერისა" და „არსენალის" სიმძლავრე ცხრილში ვერ შეარყია, თუმც კი რუს ბიზნესმენს ხელის ჭუჭყი თითქოს გამოულევლად აქვს.

ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატებში ფულის ბრუნვამ აშკარად აკლო. ორი-სამი წლის წინ, ზამთარ-ზაფხულში, ნაირ-ნაირ ვარსკვლავებში ბობოლა კლუბები ზღვა თანხებს იხდიდნენ. ამჟამად ვითარება შეიცვალა და ერთ დროს დოლარ-გირვანქების მფანტავმა გუნდებმა ჯიბეები ამოიკერეს.

მაგალითად, 2001-2002 წლების სეზონში ინგლისში მილიარდ 748 მილიონი ევროს ბრუნვა აღინიშნა, იტალიაში კი — მილიარდ 127 მილიონი. სხვადასხვა ტელეარხები მატჩების ტრანსლაციის უფლებისთვის ერთმანეთს ეპაექრებოდნენ და ბლომად თანხებს ხარჯავდნენ.

ყოველი მხრიდან ფულით გაზულუქებული საფეხბურთო ბაზარი შარშან უეცრად გასკდა და დაცარიელდა. ტელეკომპანიებმა უკან დაიხიეს, ზოგი გაკოტრდა, ზოგი გაძუნწდა და თვით უეფამაც კი შარშანდელთან შედარებით 119 მილიონი ევრო ჩემპიონთა ლიგის შემოსავლებში იზარალა.

იტალიაში სატელევიზიო შემოსავლებმა 62 მილიონი ევროთი იკლო, პირველი და მეორე ბუნდესლიგის გუნდებმა კომპანია „კირხ-მედიას" გაკოტრების შედეგად 360 მილიონი ევროს ნაცვლად 290 მილიონი მიიღეს.

ფინანსურმა კრიზისმა არაერთი კლუბი დააყენა გაკოტრების საფრთხის წინაშე, რადგან ბუნდესგუნდების ხაზინის 40 პროცენტი სატელევიზიო შემოსავლებზეა დამოკიდებული. გაცილებით უარესი მდგომარეობაა იტალიასა და საფრანგეთში, სადაც ტელეფული კლუბებისთვის სალაროს შევსების მთავარი წყაროა.

ევროპაში ყველაზე სტაბილური მდგომარეობა ჯერჯერობით ინგლისშია, სადაც პრემიერლიგა და ქვედა დივიზიონები ყოველწლიურად მატჩების ტრანსლაციის უფლების სანაცვლოდ 700 მილიონ გირვანქას იჯიბავენ.

გერმანიაში შვეიცარიულმა ფირმა „ინფრონტმა" ვადაზე ადრე გაწყვიტა კონტრაქტი ბუნდესლიგასთან, რომელსაც ყოველწლიურად 290 მილიონ ევროს ურიცხავდა მატჩების ჩვენების უფლების სანაცვლოდ.

„ინფრონტი" მომდევნო ორ სეზონში 600 მილიონის გაღებასაც აპირებდა, მაგრამ ხელშეკრულება ჩაიშალა და თავად დათვალეთ, გერმანელებმა როგორი მსუყე თანხა დაკარგეს.

მიუხედავად ამისა, გერმანიის ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ ვერნერ ჰამანს ახალი პარტნიორის მოძებნის ეიმედება. ლიგა ივნისში ტელეარხ „პრემიერთან" (ყოველწლიურად ბუნდესლიგას 150 მილიონს უხდის), ZDF-თან (10 მილიონი) და DSF-თან (12) მილიონი) კონტრაქტის პირობების გადასინჯვას აპირებს, რადგან ჰამანს მიაჩნია, რომ საკუთარი არხის შექმნა გაცილებით მომგებიანი იქნება.

**ვაჟა ხუციშვილი**

## ბელგია

**თასის ¼ ფინალი**

**საპასუხო მატჩები**

**სერკლ ბრიუგე 0:0 *მუსკრონი* (2:3)**

***ანდერლეხტი* 0:0 ჰეუსდენი (3:2)**

***ბევერენი* 1:0 ბეერსხოტი (2:1)**

1:0 ნე (81)

## Copa Toyota Libertadores '2004

**III ჯგუფი. I ტური**

**კრუზეირო (ბრაზილია) 3:1 კარაკასი (ვენესუელა)**

1:0 ალექსი (18პ), 1:1 ს. რივასი (38პ), 2:1 ფელიპე მელო (54), 3:1 ჟუსი (69)

**VII ჯგუფი. I ტური**

**გუარანი (პარაგვაი) 0:0 ბარსელონა (ეკვადორი)**



# ტრაპატონიმ გამოცხადების დღე გამოაცხადა

**იტალიის** ნაკრების მწვრთნელმა, ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, რომ იმ ფეხბურთელების სიას, რომლებსაც პორტუგალიაში ევრო 2004-ზე წაიყვანს 18 ან 20 მაისს გამოაცხადებს. ცნობილ სპეციალისტს შესარჩევი ჰყავს 23 მოთამაშე, რომლებიც 25 მაისიდან კოვერჩანოს საწვრთნელ ცენტრში დაბანაკდებიან. გუნდი ფლორენციაში 5 ივნისამდე დარჩება, რის შემდეგაც მოთამაშეებს ორი დღით დაითხოვენ, ხოლო შვიდში თვითმფრინავში ჩასვამენ და პორტუგალიის გზას გაუყენებენ.

| 5414 | შალკე-მიუნხენი | 1,4 | 3,0 |
| 5415 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1,85 | 1,95 |
| 5416 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,65 | 2,3 |
| 5417 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,0 | 1,8 |
| 5418 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 2,3 |
| 5419 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,25 | 3,6 |
| 5421 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,65 | 2,3 |
| 5422 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,15 | 4,0 |
| 5424 | ჰერტა-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 5426 | კიევო-ლეჩე | 1,55 | 2,5 |
| 5427 | უდინეზე-ბოლონია | 1,65 | 2,3 |
| 5428 | ემპოლი-სიენა | 1,8 | 2,0 |
| 5429 | მილანი-პერუჯა | 1,1 | 5,0 |
| 5431 | მოდენა-ანკონა | 1,3 | 3,4 |
| 5432 | პარმა-ლაციო | 1,85 | 1,95 |
| 5433 | რეჯინა-ბრეშა | 1,8 | 2,0 |
| 5434 | სამპდორია-ინტერი | 2,0 | 1,8 |
| 5435 | რომა-იუვენტუსი | 1,85 | 1,95 |
| 5438 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,4 | 3,0 |
| 5439 | რეალი-მალაგა | 1,1 | 5,0 |
| 5441 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,85 | 1,95 |
| 5442 | ალბასეტე-დეპორტივო | 2,1 | 1,75 |
| 5443 | სევილია-მალიორკა | 1,75 | 2,1 |
| 5444 | ბილბაო-მურსია | 1,3 | 3,4 |
| 5445 | რასინგი-ბეტისი | 1,8 | 2,0 |
| 5446 | სელტა-ვილიარეალი | 1,8 | 2,0 |
| 5447 | ოსასუნა-ბარსელონა | 1,95 | 1,85 |
| 5448 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,95 | 1,85 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5301 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,75 | 1,85 |
| 5302 | ბოლტონი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5303 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5304 | მიდლსბრო-ბლეკბერნი | 1,7 | 1,9 |
| 5305 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,8 | 1,8 |
| 5306 | საუთჰემპტონი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5307 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,75 | 1,85 |
| 5308 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 1,75 | 1,85 |
| 5309 | სიტი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5310 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,8 | 1,8 |
| 5314 | შალკე-მიუნხენი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 1,65 | 1,95 |
| 5316 | ჰამბურგი-ბოხუმი | 1,65 | 1,95 |
| 5317 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5318 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,65 | 1,95 |
| 5319 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,7 | 1,9 |
| 5321 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,65 | 1,95 |
| 5322 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,7 | 1,9 |
| 5324 | ჰერტა-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5326 | კიევო-ლეჩე | 1,65 | 1,95 |
| 5327 | უდინეზე-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5328 | ემპოლი-სიენა | 1,65 | 1,95 |
| 5329 | მილანი-პერუჯა | 1,8 | 1,8 |
| 5331 | მოდენა-ანკონა | 1,7 | 1,9 |
| 5332 | პარმა-ლაციო | 1,65 | 1,95 |
| 5333 | რეჯინა-ბრეშა | 1,65 | 1,95 |
| 5334 | სამპდორია-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5335 | რომა-იუვენტუსი | 1,65 | 1,95 |
| 5338 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,65 | 1,95 |
| 5339 | რეალი-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 5341 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,65 | 1,95 |
| 5342 | ალბასეტე-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5343 | სევილია-მალიორკა | 1,65 | 1,95 |
| 5344 | ბილბაო-მურსია | 1,7 | 1,9 |
| 5345 | რასინგი-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5346 | სელტა-ვილიარეალი | 1,65 | 1,95 |
| 5347 | ოსასუნა-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5348 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,65 | 1,95 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5001 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1.41 | 1,66 |
| 5002 | ბოლტონი-ლივერპული | 3,4 | 2,1 | 2,8 | 1,29 | 1.53 | 1.19 |
| 5003 | ევერტონი-მანჩესტერი | 6,0 | 2,3 | 1,85 | 1,66 | 1,41 | 1,02 |
| 5004 | მიდლსბრო-ბლეკბერნი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1.11 | 1.54 | 1.37 |
| 5005 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1.01 | 1.3 | 2 |
| 5006 | საუთჰემპტონი-ფულემი | 2,45 | 2,05 | 4,2 | 1.11 | 1,54 | 1,37 |
| 5007 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,9 | 2,3 | 5,6 | 1,04 | 1,41 | 1,63 |
| 5008 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 6,5 | 2,7 | 1.65 | 1,9 | 1,31 | 1.02 |
| 5009 | სიტი-ბირმინგემი | 2,6 | 2,05 | 3,8 | 1.14 | 1,54 | 1,33 |
| 5010 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,6 | 2,8 | 7,0 | 1.01 | 1,3 | 2 |
| 5014 | შალკე-მიუნხენი | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1.04 | 1.44 | 1.6 |
| 5015 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,9 | 2,1 | 3,3 | 1.21 | 1,54 | 1,28 |
| 5016 | ჰამბურგი-ბოხუმი | 2,3 | 2,1 | 4,6 | 1.09 | 1.53 | 1.44 |
| 5017 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 3,6 | 2,1 | 2,6 | 1,32 | 1.5 | 1,16 |
| 5018 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 2,25 | 2,1 | 4,8 | 1,08 | 1,53 | 1,46 |
| 5019 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,65 | 2,7 | 6,5 | 1,02 | 1.31 | 1.9 |
| 5021 | ჰანზა-ფრაიბურგი | 2,35 | 2,1 | 4,4 | 1.1 | 1.53 | 1.42 |
| 5022 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,45 | 3,2 | 7,5 | 1 | 1,21 | 2.24 |
| 5024 | ჰერტა-შტუტგარტი | 3,6 | 2,1 | 2,6 | 1,32 | 1.5 | 1,16 |
| 5026 | კიევო-ლეჩე | 2,15 | 2,15 | 5,0 | 1,07 | 1.5 | 1,5 |
| 5027 | უდინეზე-ბოლონია | 2,35 | 2,05 | 4,6 | 1,09 | 1,55 | 1.41 |
| 5028 | ემპოლი-სიენა | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1.16 | 1,54 | 1.3 |
| 5029 | მილანი-პერუჯა | 1,2 | 4,8 | 9,0 | 1 | 1.05 | 3,13 |
| 5031 | მოდენა-ანკონა | 1,75 | 2,4 | 6,0 | 1,01 | 1.35 | 1,71 |
| 5032 | პარმა-ლაციო | 3,0 | 2,1 | 3,2 | 1,23 | 1,54 | 1,26 |
| 5033 | რეჯინა-ბრეშა | 2,7 | 2,05 | 3,6 | 1,16 | 1,54 | 1.3 |
| 5034 | სამპდორია-ინტერი | 3,6 | 2,05 | 2,7 | 1,3 | 1,54 | 1,16 |
| 5035 | რომა-იუვენტუსი | 2,9 | 2,05 | 3.4 | 1,2 | 1.56 | 1,27 |
| 5038 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,95 | 2,25 | 5,6 | 1.04 | 1,44 | 1.6 |
| 5039 | რეალი-მალაგა | 1,2 | 4.8 | 10,0 | 1 | 1.07 | 3.24 |
| 5041 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 2,9 | 2,05 | 3.4 | 1.2 | 1.56 | 1,27 |
| 5042 | ალბასეტე-დეპორტივო | 4,0 | 2,1 | 2,45 | 1,37 | 1,51 | 1.13 |
| 5043 | სევილია-მალიორკა | 2,45 | 2,1 | 4,0 | 1,13 | 1,51 | 1,37 |
| 5044 | ბილბაო-მურსია | 1,85 | 2,3 | 6,0 | 1,02 | 1,41 | 1,66 |
| 5045 | რასინგი-ბეტისი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1.18 | 1,55 | 1,29 |
| 5046 | სელტა-ვილიარეალი | 2,8 | 2,05 | 3,5 | 1.18 | 1,55 | 1,29 |
| 5047 | ოსასუნა-ბარსელონა | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1.26 | 1,57 | 1.21 |
| 5048 | სარაგოსა-სოსიედადი | 3,3 | 2,05 | 3,0 | 1.26 | 1,57 | 1,21 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5201 | ასტონ ვილა-ლიდსი | 1,85 | 1,75 |
| 5202 | ბოლტონი-ლივერპული | 1,85 | 1,75 |
| 5203 | ევერტონი-მანჩესტერი | 1,95 | 1,65 |
| 5204 | მიდლსბრო-ბლეკბერნი | 1,85 | 1,75 |
| 5205 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,85 | 1,75 |
| 5206 | საუთჰემპტონი-ფულემი | 1,9 | 1,7 |
| 5207 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 1,85 | 1,75 |
| 5208 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 1,95 | 1,65 |
| 5209 | სიტი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5210 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,95 | 1,65 |
| 5214 | შალკე-მიუნხენი | 1,95 | 1,65 |
| 5215 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 2,0 | 1,6 |
| 5216 | ჰამბურგი-ბოხუმი | 2,1 | 1,55 |
| 5217 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 2,1 | 1,55 |
| 5218 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 1,9 | 1,7 |
| 5219 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 2,2 | 1,5 |
| 5221 | ჰანზა-ფრაიბურგი | 1,9 | 1,7 |
| 5222 | ბაიერნი-ჰანოვერი | 2,3 | 1,45 |
| 5224 | ჰერტა-შტუტგარტი | 1,9 | 1,7 |
| 5226 | კიევო-ლეჩე | 1,85 | 1,75 |
| 5227 | უდინეზე-ბოლონია | 1,65 | 1,95 |
| 5228 | ემპოლი-სიენა | 1,75 | 1,85 |
| 5229 | მილანი-პერუჯა | 2,2 | 1,5 |
| 5231 | მოდენა-ანკონა | 1,75 | 1,85 |
| 5232 | პარმა-ლაციო | 1,75 | 1,85 |
| 5233 | რეჯინა-ბრეშა | 1,8 | 1,8 |
| 5234 | სამპდორია-ინტერი | 1,8 | 1,8 |
| 5235 | რომა-იუვენტუსი | 1,75 | 1,85 |
| 5238 | ვალენსია-ატლეტიკო | 1,9 | 1,7 |
| 5239 | რეალი-მალაგა | 2,3 | 1,45 |
| 5241 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 1,8 | 1,8 |
| 5242 | ალბასეტე-დეპორტივო | 1,8 | 1,8 |
| 5243 | სევილია-მალიორკა | 1,8 | 1,8 |
| 5244 | ბილბაო-მურსია | 1,9 | 1,7 |
| 5245 | რასინგი-ბეტისი | 1,8 | 1,8 |
| 5246 | სელტა-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |
| 5247 | ოსასუნა-ბარსელონა | 1,85 | 1,75 |
| 5248 | სარაგოსა-სოსიედადი | 1,8 | 1,8 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 07.02 | 19.00 | 6001 | ინგლისი პლ (XXIV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 07.02 | 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 07.02 | 21.00 | 6003 | იტალია A (XX) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 07.02 | 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXIII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 06.02 | 24.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXIII) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 06.02 | 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXI) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 07.02 | 21.00 | 6007 | ბელგია Iდ (XXI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 | ასტონ ვილა-ლიდსი | 2,0 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 10,0 |
| 5102 | ბოლტონი-ლივერპული | 4,2 | 10,0 | 20,0 | 4,8 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5103 | ევერტონი-მანჩესტერი | 8,0 | 10,0 | 20,0 | 9,0 | 4,6 | 3,4 | 20,0 | 10,0 | 2,2 |
| 5104 | მიდლსბრო-ბლეკბერნი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5105 | ნიუკასლი-ლესტერი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5106 | საუთჰემპტონი-ფულემი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5107 | ტოტენჰემი-პორტსმუთი | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5108 | ვულვერჰემპტონი-არსენალი | 12,0 | 12,0 | 20,0 | 14,0 | 4,6 | 3,4 | 25,0 | 12,0 | 1,9 |
| 5109 | სიტი-ბირმინგემი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,8 |
| 5110 | ჩელსი-ჩარლტონი | 1,7 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5114 | შალკე-მიუნხენი | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5115 | ვოლფსბურგი-დორტმუნდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5116 | ჰამბურგი-ბოხუმი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 6,0 |
| 5117 | მიონხენგლადბახი-ვერდერი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5118 | კაიზერსლაუტერნი-კიოლნი | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10,0 | 6,5 |
| 5119 | ლევერკუზენი-აინტრახტი | 1,7 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 4,8 | 14,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5121 | ჰანზა-ფრაიბურგი | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5122 | ბაიერნი-ჰანოვერი | 1,5 | 20,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5124 | ჰერტა-შტუტგარტი | 4,8 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,2 | 20,0 | 10,0 | 3,3 |
| 5126 | კიევო-ლეჩე | 2,4 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 9,0 | 20,0 | 10,0 | 8,0 |
| 5127 | უდინეზე-ბოლონია | 2,8 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 8,0 | 20,0 | 10,0 | 7,5 |
| 5128 | ემპოლი-სიენა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5129 | მილანი-პერუჯა | 1,3 | 20,0 | 50,0 | 3,5 | 7,0 | 25,0 | 30,0 | 22,0 | 22,0 |
| 5131 | მოდენა-ანკონა | 1,8 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |
| 5132 | პარმა-ლაციო | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5133 | რეჯინა-ბრეშა | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5134 | სამპდორია-ინტერი | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,5 |
| 5135 | რომა-იუვენტუსი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 4,2 |
| 5138 | ვალენსია-ატლეტიკო | 2,1 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,4 | 10,0 | 20,0 | 10,0 | 9,0 |
| 5139 | რეალი-მალაგა | 1,4 | 25,0 | 50,0 | 3,6 | 6,0 | 20,0 | 30,0 | 20,0 | 20,0 |
| 5141 | ესპანიოლი-ვალიადოლიდი | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5142 | ალბასეტე-დეპორტივო | 5,0 | 10,0 | 20,0 | 5,6 | 4,4 | 4,0 | 20,0 | 10,0 | 3,1 |
| 5143 | სევილია-მალიორკა | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5144 | ბილბაო-მურსია | 1,9 | 10,0 | 20,0 | 3,4 | 4,6 | 12,0 | 20,0 | 11,0 | 11,0 |
| 5145 | რასინგი-ბეტისი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5146 | სელტა-ვილიარეალი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,4 |
| 5147 | ოსასუნა-ბარსელონა | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5148 | სარაგოსა-სოსიედადი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10,0 | 3,8 |

*სამშაბათს ბათუმის „ბასკომ“ სოხუმის უნივერსიტეტის გუნდს 78 ქულით მოუგო, რაც ოფიციალური სტატისტიკის არარსებობის პირობებშიც კი შეიძლება ქართული კალათბურთის აბსოლუტურ რეკორდად ჩაითვალოს. ნაგება ნაგებად და ბევრმა ისიც თქვა, რა უნამუსო ყოფილა ეს „ბასკო“, დანდობა არ სცოდნია, მოეგო 50 ქულით, რა დაშავდებაო. მსოფლიო იმას ქადაგებს, სპორტმა მეგობრობა არ იცისო, მაგრამ აქ ხომ საქართველოა...*
*გუშინ „ბასკოს“ მწვრთნელ ნუგზარ კანდელაკს დავუკავშირდით და მისი გუნდის „ჯალათობის“ გარდა ახალწვეულ ანატოლი ბოისაზე და კლუბის მომავალ პერსპექტივებზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა...*

## ნუგზარ კანდელაკი
# მოვითმენთ და მოვიგებთ
## მთავარია კარგი გეგმა



— მე არ მესმის იმ გუნდების, სუსტთან სუსტად რომ თამაშობენ და ძლიერთან ძლიერად. თუ გუნდი ხარ, მიზანმიმართულად ახორციელებ დასახულ გეგმას და დიდი პრეტენზიები გაქვს, ნებისმიერ მეტოქეს ერთი შემართებით უნდა ეთამაშო. სხვა საქმეა, როცა წინ რამე სერიოზული მატჩი გელის და წამყვან მოთამაშეებს დაასვენებ. ისე კი, ჩემი აზრით, ყველა თამაშში ბოლომდე უნდა დაიხარჯო.

როცა სუსტ მეტოქეს ხვდები და არ ინდომებ, დაისჯები. სუსტთან რომ 20 შეცდომას დაუშვებ, ძლიერთან 40-ჯერ შეცდები, ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელობა არ ჰქონდა, სსუ-ს შევხვდებოდით თუ ვთქვათ, „დინამოს“, მოედანზე ბოლომდე საბრძოლველად გავედით.

**— სსუ-მ რუსთავში თასის გათამაშებისას გამოაჩინა, რომ მთლად უსუსური არაა, ახალი მწვრთნელი ვალერი ალთაბაევიც დაენიშნა და საინტერესოა, ასე იოლად როგორ მოუგეთ...**

— სხვათა შორის, სწორედ რუსთავში განცდილმა მარცხმა დამარწმუნა იმაში, რომ ნებისმიერ გუნდთან ბოლომდე უნდა დაიხარჯო, თორემ შეიძლება, დაისაჯო. სსუ ბათუმში თამაშის დღეს ჩამოვიდა და ალბათ ამის გამო იყო, რომ თითქმის არაფერი გამოუვიდა.

**— „ბასკომ“, ახალწვეული შეიმატა. ანატოლი ბოისა აღარ წავიდა გერმანიაში?**

— გერმანიაში წასვლა რომ გაეწელა, იმიტომ მოვიდა ჩვენთან. ტოლიკა განაცხადში შეყვანილი გვყავდა და რატომ უნდა გვეთქვა მის დახმარებაზე უარი? სანამ წავა, ჩვენთან ითამაშებს.

**— წასვლა საბოლოოდ აქვს გადაწყვეტილი?**

— თავადაც უნდა დარჩენა, აქაურობა ძალიან მოსწონს, მაგრამ მისმა მენეჯერმა შემოთვალა, დიდი სამუშაო გავწიე, გერმანელები დავითანხმე და სიტყვა არ გამატეხინო, აუცილებლად ჩამოდიო.

**— ესე იგი, მალე წავა და პლეი ოფისთვის ვერ დაგეხმარებათ...**

— არაფერია გამორიცხული. როგორც თვითონ ამბობს, თუ ძირითად გუნდში ვერ მოხვდება, უკან ჩამოვა. მაგრამ არა მგონია, ტოლიკა ამ სეზონისთვის სჭირდებოდეთ „მიტელდოიჩერში“. გასინჯავენ და თუ მოეწონებათ, მომავალ სეზონისთვის შეიგულებენ. ვნახოთ, იმედი მაქვს, ის ჩვენთან იქნება საპლეიოფოდ.

**— მოდით, „ბასკოს“ შანსებზეც ვილაპარაკოთ, მით უფრო, რომ თქვენმა კონკურენტებმა შევსება მიიღეს...**

— „დინამო“, თსუ, სტუ კი გაძლიერდნენ, მაგრამ ვფიქრობ, ბევრი არაფერი შეცვლილა, ყველას თანაბარი შანსები გვაქვს. მთავარი ფსიქოლოგიური მომენტია, ვინც ამ კუთხით იქნება მზად, ის მოიგებს.

**— ამ მხრივ ალბათ თსუ უკეთეს მდგომარეობაშია. მას ბევრი გამოცდილი და ფსიქოლოგიურად ძლიერი მოთამაშე ჰყავს...**

— თსუ ძალიან დიდი პოტენციის გუნდია და პლეი ოფშიც ყველაზე საშიში სწორედ ის იქნება. ამ გუნდს საქართველოს თანაც არაერთგზის, ჩემპიონები, ბლომად ჰყავს და რაოდენ სუსტადაც არ უნდა გამოჩნდეს რეგულარულ ჩემპიონატში, პლეი ოფში 2 თამაშის მოსაგებად მთელ გამოცდილებასა და ძალას გაიღებს. „დინამო“ კი ისედაც კარგად ისროდა სამქულიანებს და გოგობერიშვილისა და კილაძის შემატების შემდეგ, ძალიან სახიფათო იქნება შორი დისტანციებიდან.

**— თქვენ რას დაუპირისპირებთ ამ გუნდებს?**

— სწორ ტაქტიკას. ყველა მატჩისთვის საგანგებოდ უნდა ემზადებოდეს გუნდი, რაც რუსთავში, სადაც ყოველდღე იმართებოდა თამაშები, ვერ მოვახერხეთ. ჩემპიონატი ამის საშუალებას გვაძლევს, მატჩებს შორის საკმარისი დროა და ეს იქნება ჩვენი კოზირი, ფსიქოლოგიურად და ტაქტიკურად მომზადებით კონკრეტულ მეტოქესთან სათამაშოდ.

**— ჩემპიონობის დაბრუნებაზე რას იტყოდით?**

— ახლა ვერაფერს, ისე კი ძალიან ბევრი სიურპრიზი გვაქვს მომზადებული ჩვენი კონკურენტებისთვის.

**ირაკლი პერტაია**

# კადეტებმა თაობა დაკარგეს
## იტალია, სერბეთი, ლიტვა და... საქართველო?!

**საქართველოს ასაკობრივ ნაკრებთა შორის კადეტებს ყველაზე კარგი შედეგები აქვთ. მათ არაერთხელ უთამაშიათ ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე და თავიც უსახელებიათ, მაგრამ მარკოიშვილ-ცინცაძეების თაობა წავიდა, უფრო სწორად, გაიზარდა და ახლა 1988 წელს დაბადებულებს უწევთ ყველაფრის თავიდან დაწყება. კადეტების მთავარი მწვრთნელის ნიკო ჩერქეზიშვილის თქმით, 88-იანები შედარებით დაჩაგრული თაობაა და ევროჩემპიონატის ზაფხულში გასამართ შესარჩევ ტურნირზეც ძირითადად 1989-ში დაბადებულებზე გააკეთებს აქცენტს...**
**ჩვენი პირველი მეტოქეები კი ახლახან გაირკვა**



— ჩვენი კადეტები ახლა ისეთი ძლიერები არ არიან, როგორც ადრე, გამოცდილება აკლიათ და საბერძნეთში გასამართ შესარჩევ ტურნირშიც, ცხადია, გაგვიჭირდება, თანაც მეტად უხერხული მეტოქეები შეგვხდა — სერბეთი, იტალია და ლიტვა გვეყოლება ჯგუფში.

**— თქვენ ალბათ თქვენსას ეცდებით...**

— თუ მხოლოდ ქვეყნებს შევხედავთ, ჯგუფიდან ვერ უნდა გავიდეთ, ჩვენს მეტოქეებს ხომ ყველაზე ძლიერი საკალათბურთო ინდუსტრია აქვთ მთელ ევროპაში. არ ვიცი, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ გასვლაზე მაინც ვფიქრობთ.

**— ჩვენი ნაკრები რამდენად ბრძოლისუნარიანია?**

— საკადეტო ასაკისანი 1988-წლიანები არიან, ეს თაობა კი შედარებით ნაკლებადაქტიურია, უფრო იმედისმომცემი ბიჭები ერთი წლით პატარები არიან და ჩვენც მათზე გავაკეთებთ აქცენტს, ნაკრებში 7-8 1989 წელს დაბადებული გვეყოლება.

**— ისინი ხომ თქვენს ხელში იზრდებიან?**

— დიახ, „მართვეში“ ისინი ჩემთან არიან, რამდენიმეს სხვა გუნდებიდანაც დავამატებ და მომზადებასაც შევუდგებით.

**— ტურნირამდე დიდი დროა, სად მოემზადებით?**

— ჯერ ის 16 ბიჭიც არ შემირჩევია, საიდანაც საბოლოოდ 12 უნდა დავიტოვო. ამ დღეებში დავაკომპლექტებ გუნდს და სამჯერად ვარჯიშებს შევუდგებით. ამ ეტაპზე სულ ესაა, ივლისამდე კი ალბათ რამე გამოჩნდება, სადმე შეკრებასაც გავივლით.

**— თუ ჯგუფიდან ვერ გავედით, B კატეგორიის გუნდებში ხომ არ ჩავინაცვლებთ?**

— შესარჩევ ტურნირში სულ 16 ნაკრები მიიღებს მონაწილეობას. ყველა ადგილი გათამაშდება და ბოლო 2 გუნდი ჩაინაცვლებს სუსტებში. თუ ბოლოში მოვხვდით, ისეთ დღეში აღვმოჩნდებით, როგორშიც ახლა ეროვნული ნაკრებია, ანუ მომავალ საკვალიფიკაციოზე ძლიერებში დასაბრუნებლად თუ ვიბრძოლებთ. თუ ჯგუფიდან ვერ გავედით, მერე ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ არ გავვარდეთ.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი
# ზაზამ ზარს ჩამოჰკრა
## ორლანდოს ქართული რეკორდიც ვერ შველის

— 4 თებერვალი —

**ტორონტო 110:90 ორლანდო**
**ტორონტო:** მარშალი (32)
**ორლანდო:** ჰოვარდი (22), **ფაჩულია** (21 წუთი, 14 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი)

**ფინიქსი 97:101 პორტლენდი**
**ფინიქსი:** ჯონსონი (25)
**პორტლენდი:** რენდოლფი (19), **სტეფანია** (15 წუთი, 2 ქულა, 5 მოხსნა, 1 პასი, 1 ჩაჭრა)

**კლივლენდი 106:111 ლეიკერსი**
ძირითადი დრო 92:92
**კლივლენდი:** ჯეიმსი (32), ბუზერი (25)
**ლეიკერსი:** ონილი (37), პეიტონი (30)

**ჰიუსტონი 103:89 მილუოკი**
**ჰიუსტონი:** ფრენსისი (23)
**მილუოკი:** სკინერი (17)

**ნიუ ჯერსი 99:88 მაიამი**
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (24)
**მაიამი:** ოდომი (27)

**ვაშინგტონი 101:103 მემფისი**
**ვაშინგტონი:** ჰიუზი (27)
**მემფისი:** პოუზი (31)

**ბოსტონი 86:95 კლიპერსი**
**ბოსტონი:** პირსი (22)
**კლიპერსი:** რიჩარდსონი (36)

**ატლანტა 97:89 მინესოტა**
**ატლანტა:** აბდურ-რაჰიმი (32)
**მინესოტა:** კასელი (20)

**ნიუ ორლეანი 104:113 დალასი**
**ნიუ ორლეანი:** არმსტრონგი (27)
**დალასი:** ნოვიცკი (28), ფინლი (22)

**იუტა 79:95 ჩიკაგო**
**იუტა:** სტივენსონი (11)
**ჩიკაგო:** კარი (23)

ზაზა ფაჩულიამ გუშინ „ტორონტო რეპტორზს“ 14 ქულა ჩაუგდო და თავის სამთვიან ამერიკულ კარიერაში ძველი რეკორდი სამი ქულით გააუმჯობესა. ზაზამ თავიდანვე იჩუბინა, თამაშში რვა სროლიდან ექვსი გამოიყენა და ორიც საჯარიმო ჩააგდო...

მაგრამ ქართველმა ვერ უშველა „ორლანდოს“ და ეს ბუნებრივიცაა. სანამ ფაჩულია თავისი გუნდის წამყვან მოთამაშედ ჩამოყალიბდება, მისი და „მეჯიქის“ კარგი თამაში შეიძლება არც იყოს თანადროული. აი, ამისი მაგალითიც; ზაზა, „ორლანდოს“ რიგითი ჯარისკაცი უფრო მეტს ყრიდა, ვიდრე მოეთხოვება, მაგრამ მისი გუნდი უკვე პირველი ტაიმის შემდეგ აგებდა 20 ქულით.

ფაჩულია ჯერჯერობით ვერაფერს შეცვლის, ის ფეხს თუ აუწყობს თავისიანებს, მაგრამ როცა სხვები ბედთან შეგუებულები გადიან მოედანზე, აქ რამის შეცვლა მით უმეტეს ძნელია.

მით უმეტეს „ტორონტოში“ ჩასულ „ორლანდოს“ ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი ტურისტად წაჰყვა, „მეჯიქის“ 24 წლის ბიჭუნას წელკავი აქვს.

მაკგრეიდის თამაშის ხილვა ბარე ტორონტოულ აუდიტორიასაც წყუროდა, თიმეკი ხომ ოდესღაც მათი იყო, თანაც „რეპტორზის“ ლიდერის ვინს კარტერის ალალი ბიძაშვილია და ამათი რკენის ხილვა კიდევ ათი წელი არ მოსწყინდებათ...

ასე კი ბრძოლა არ შედგა...

თუმც ფაჩულიას კარგ თამაშს ამის გამო არავინ აკნინებს. ზაზამ 14 ქულით ამ სეზონის „ქართული“ რეკორდი გაიმეორა, რომელიც ნიკა ცქიტიშვილს ნოემბერში „მინესოტასთან“ დაუმყარებია.

ზაზასგან განსხვავებით შეტევაში თამაში არ წაუვიდა ვოვა სტეფანიას. მან ერთადერთხელ ისროლა და ჩააგდო კიდეც, მაგრამ რატომღაც მერე აღარ უცდია. შესაძლოა, „ფინიქსთან“ დაძაბულ თამაშში თავს სროლის უფლება არ მისცა...



**ზაზა ფაჩულიამ „ტორონტოს“ 14 ქულა ჩაუგდო და პირადი რეკორდი დაამყარა**

მისმა „პორტლენდმა“, რომელიც სტუმრად გამარჯვებების შეგროვებას ორიოდ კვირის წინ შეუდგა, ფინიქსში იქაურ „მზეებზე“ ოთხი ქულით იძალა.

საინტერესო გამოვიდა „კლივლენდისა“ და „ლეიკერსის“ შეხვედრა. აქეთ დევივით ბავშვი ლებრონ ჯეიმსი და იქით ფეხადგმული დევი შაკილ ონილი. ორივემ მოიწადინა და ორივე გასცდა 30-ქულიან ნიშნულს. დევშაკმა, რომელმაც მსაჯების ზომასგადასული კრიტიკისთვის ერთდღიანი დისკვალიფიკაცია მოიხადა, ახლა მოედანზე იბობოქრა, მასზე მაღალი, მაგრამ გამხდარი ევროპელი ჟიდრუნას ილგაუსკასი და აფრიკელი დესაგანა დიოპი გადათელა და სეზონის პირად რეკორდს შესწვდა ქულებში. „ლეიკერსმა“ კი ოვერტაიმში იძალა.

**კოტე ყორშია**

*საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები დღეს გამთენიისას საფრანგეთს გაფრინდა. პარიზის განთქმული ტურნირის გარდა შოთა ხაბარელის გუნდი საყოველთაო ოთხდღიან ვარჯიშშიც მიიღებს მონაწილეობას, შემდეგ კი ორიოდ დღეში ქულების ალებას უნგრეთშიც შეეცდება. „მარათონი“ თებერვალ-მარტში ევროპის ხუთ ქვეყანას მოივლის და 3-4 აპრილს თბილისის ტრადიციული ტურნირით დასრულდება. სეზონი იანვრის ბოლოს მოსკოვში ჩვენთვის არცთუ შედეგიანად გაიხსნა. სასაფრანგეთოდ გამზადებულ შოთა ხაბარელთან საუბარიც „ცუდით“ დავიწყეთ*

# პარიზი, ძიუდოისტთა ქალაქი...
## განსჯა მსაჯებსაც სჭირდებათ



— მოსკოვური ტურნირის უმედლოდ მოვლის მიზეზად რას მიიჩნევთ?

— რუსეთში ნაკრების ძირითადი ბირთვის წაყვანისგან თავი შევიკავეთ. უმეტესობა ავადმყოფობდა, თან საქართველოს ჩემპიონატიც ახალი ჩატარებული იყო და შანსი მასზე თავგამოჩენილ ახალგაზრდებს მივეცით.

— მათ კი იმედები ვერ გაამართლეს?

— უფრო მეტს ველოდი, მაგრამ საერთო შედეგით მთლად უკმაყოფილოც არ დავრჩენილვარ. ყველაზე საჭირო წონებში ქულები მაინც ავიღეთ. შინჯიკაშვილი მოსკოვური 25 ქულით ლიცენზიებისთვის მებრძოლთა შორის მეცხრე ადგილზე გადავიდა, ბოდაველი მეშვიდეზე, ხანჯალიაშვილი კი სულაც გალიდერდა.

— პარიზისათვის შემადგენლობა წინა ტურნირის შედეგების გათვალისწინებით შეადგინეთ?

— რა თქმა უნდა. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ სხვებს თავის გამოჩენის შანსი აღარ ექნებათ. წინ შვიდი სალიცენზიო ტურნირია და ყველა კანდიდატს გამოვცდით.

— მაშასადამე, თუ რამდენიმე წონას არ ჩავთვლით, ძირითადი ბირთვი ჯერ არ გამოკვეთილა?

— ალბათ საამისოდ 3-4 ტურნირი დაგვჭირდება. წინ კი სულ 7 სალიცენზიო შეჯიბრი და ევროპის ჩემპიონატია. თითო ჩემპიონობა 100 ქულას იძლევა. ჩემი აზრით, ათენის საგზურის მოსაპოვებლად 120 ქულა საკმარისი აღმოჩნდება. თან აპრილის დასაწყისში ტურნირს თბილისი მასპინძლობს და წარმატების მეტი შანსი გვექნება.

— სადღეისოდ როგორია ქართველი მოჭიდავეების მაჩვენებლები?

— საკმაოდ კარგი. ქულების მიხედვით სალიცენზიო რეიტინგი დგება, რომელიც ყოველი ტურნირის შემდეგ იცვლება. საბოლოო ცხრილით კი ოლიმპიადაზე თითოეული წონის ცხრა საუკეთესო წავა. ამჟამად ყველა წონაში სასურველ ცხრაში ვიმყოფებით. ხერგიანი, მარგოშვილი და ხანჯალიაშვილი მოწინავენი არიან. მათ ალბათ ათენის საგზურს ველარავინ შეეცილება. ზვიადაურმა სულაც შარშანვე გაინაღდა ლიცენზია. საკმაოდ კარგი პოზიცია აქვს ჯიქურაულსაც, ხოლო 73 და 81 კილოგრამებში ჯერ ყველაფერი წინაა.

— საბოლოო შემადგენლობას ჯერ არ ასახელებთ, მაგრამ, ბიჭების ფორმიდან გამომდინარე, რამდენი საგზურის მოპოვებას ვარაუდობთ?

— ათენში სრული გუნდით წასვლა ნამდვილად შეგვიძლია. 73 და 81 კილოგრამები შედარებით სუსტი წერტილია, თუმც ლიცენზიების ალება ამ წონის ბიჭებსაც შეუძლიათ. დარჩენილ ხუთ წონაში კი არათუ ლიცენზიებზე, ოლიმპიურ მედლებზეც ვფიქრობთ.

— ნაკრებს უბრუნდება ქევხიშვილი, რომელიც ერთ დროს მის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა. რამდენ ხანში შეძლებს ძველებურად აჭიდავებას?

— ტრავმის შემდეგ სრული დატვირთვით კი ავარჯიშდა, მაგრამ ჩვეულ ფორმაში ჯერ არ ჩამდგარა. ჩემი აზრით, მაინც ჯობია აქედანვე ვაჭიდავოთ. დრო ცოტა რჩება, მას კი საერთაშორისო ტურნირები ჰაერივით სჭირდება. თუ ფეხმა გაუშვა, ამ წონაში პრობლემა აღარ გვექნება.

— ზვიადაური დარჩენილ სალიცენზიო ტურნირებსაც იჭიდავებს, თუ განსაკუთრებული პროგრამით მოემზადება?

— პარიზის შემდეგ სპეციალურ მოსამზადებელ პროგრამას აუცილებლად შევუდგენთ და ალბათ შეჯიბრებით აღარ დავტვირთავთ. შეიძლება თბილისის ტურნირსა და ევროპის ჩემპიონატზეც კი არ ვაჭიდავოთ.

— პარიზში რატომღა მიგყავთ?

— სასაფრანგეთოდ ძირითადი ბირთვის თავმოყრა ტურნირზე მეტად მისი დამთავრების შემდეგ გასამართმა ერთობლივმა წვრთნამ გადაგვაწყვეტინა. ოთხი დღის განმავლობაში 50-მდე ნაკრების მხარდამხარ ვივარჯიშებთ. ეს კი ნებისმიერი ძლიერი სპორტსმენისთვის დიდი სკოლაა.

— სიძლიერის მიხედვით მოსკოვისა და პარიზის ტურნირებს თუ შეადარებდით?

— თითქმის ერთი დონეა. ეს ორი ტურნირი სხვებზე ძლიერია ხოლმე. დებულების მიხედვით, მასპინძლებს ოთხი სპორტსმენის გამოყვანის უფლება აქვთ და ხშირად გადამწყვეტ როლს ეს ფაქტორიც თამაშობს. მსგავსი უპირატესობით აპრილში თბილისში ჩვენც ვისარგებლებთ.

— მოსკოვურ დელეგაციაში მსაჯიც გყავდათ. პარიზში თუ მიგყავთ?

— საფრანგეთში მერაბ ლოსეურაშვილი და ვლადიმერ ნუცუბიძე მოდიან. ეს უშუალოდ საერთაშორისო ფედერაციის დავალებით ხდება. მოჭიდავეებთან ერთად სალიცენზიო ქულებს მსაჯებიც იღებენ და შეიძლება, ევროპის ჩემპიონატის საგზურიც კი მოიპოვონ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

**საქართველოს ნაკრები**

| | | |
|---|---|---|
| 60 | კგ | ნესტორ ხერგიანი |
| 66 | კგ | დავით მარგოშვილი |
| 73 | კგ | დავით ქევხიშვილი |
| | | ხვიჩა ხუციშვილი |
| 81 | კგ | გრიგოლ შინჯიკაშვილი |
| | | საბა გავაშელიშვილი |
| 90 | კგ | ზურაბ ზვიადაური |
| 100 | კგ | ივერი ჯიქურაული |
| +100 | კგ | ზვიად ხანჯალიაშვილი |
| | | ლაშა გუჯეჯიანი |



# ლენოქსი მიდის



**დღეს** მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონი მძიმე წონაში, ბრიტანელი მოკრივე ლენოქს ლუისი პრესკონფერენციას მოიწვევს და კრივიდან წასვლას გამოაცხადებს. ამის თაობაზე გამოაცხადა „ბი-ბი-სის რადიომ“ და ზოგიერთმა ამერიკულმა წყარომ.

38 წლის მოკრივეს შარშანდელი ივნისის შემდეგ არ უჩხუბია. მაშინ მან ვიტალი კლიჩკო დაამარცხა. ლუისს მისი საბჭოს (ვბკ) ქამრის საკითხი 1 მარტამდე უნდა გადაეწყვიტა: ანუ თუ ჩემპიონად ყოფნა სურდა ვიტალი კლიჩკოსთან რემატჩს უნდა დათანხმებოდა.

ახლა ცხადია, რომ ის ასრულებს 14-წლიან კარიერას, 44 ბრძოლით, ამათგან კი ორი უცნაური წაგებით.

დიუკ მაკენზიმ, ძველად სამი წონის მსოფლიო ჩემპიონმა ასე განმარტა, ეს ამბავი „ბი-ბი-სის რადიოში“ — „საკრივო სამყაროში ეს არავის გაკვირვებია. ლენოქსმა ძალიან ბევრი ფული იშოვა კრივში და დასამტკიცებელიც არაფერი დარჩა. რემატჩის მოგებით ვერაფერს შეიმატებს, წაგებით კი ეგებ დაკარგოს კიდეც. მან ყველა დაამარცხა. ახლობლები წასვლას ურჩევდნენ, მეც ასე მეგონა, რომ უნდა წასულიყო.“



# ბებერი კონტინენტი დაემშვიდობება
## რბოლის სამყაროში
## თამბაქოს ბოლი ტრიალებს

**მეფორმულეთა** მსოფლიოს 55-ე ჩემპიონატის დაწყებამდე თველა დარჩა და გუნდებიც სულ უფრო აქტიურებენ სამზადისს. ტესტებისას მთავარი, რა თქმა უნდა, მანქანებში ტექნიკური სიახლეების გამოცდაა. უკვე თითქმის ყველანი განახლებული ბოლიდებით ვარჯიშობენ.

ესპანეთის თბილ ტრეკებზე მორიგი სატესტო კვირეული მიიწურა. პირინეებზე ისეთი მზიანი ამინდებია, რომ ზოგჯერ ტრასებს საგანგებოდ რწყავენ კიდეც საწვიმარი საბურავების ეფექტურობის შესამოწმებლად.

მთავარი ყურადღება ბუნებრივია, ბობოლა საჯინიბოებისკენაა. მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი პირველად შუა იანვარში ბარსელონას „კატალუნიაზე“ მიუჯდა შარშანდელი „ფერარის“ საჭეს, ერთი კვირის წინ კი ახალთახალ „F2004“-ში გადაჯდა. წლევანდელი მოდელი, რომელშიც სპეციალისტთა აზრით, რევოლუციური არაფერია, შუმიმ ფიორანოში, სკუდერიელთა საკუთარ სამკილომეტრიან წრეზე გაავლვა და ორჯერ სარეკორდო დროც აჩვენა. თავად შუმი კმაყოფილი დარჩა ახალი ძრავის საიმედოობით. წლევანდელი რეგლამენტით გუნდებს სარბოლო სამდღიურში ყოველ მანქანაზე მხოლოდ თითო ძრავის გამოყენების უფლება აქვთ, შუმახერისამ კი უფრო მეტ, 700-კილომეტრიან დატვირთვას უპრობლემოდ გაუძლო.

ესპანეთში შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ „უილიამსის“, „რენოს“ და BAR-ის პილოტებიც, რომლებმაც რამდენჯერმე. გააუმჯობესეს ბარსელონისა და ვალენსიის ტრასების რეკორდები.

გუშინწინ ბარსელონაში ვარჯიშისას ავარია შეემთხვა 22 წლის ფელიპე მასას. ბრაზილიელის „ზაუბერს“ წინა მარჯვენა ბორბალი მოემტვრა და კონტროლდაკარგული საშინელი ძალით მიეხეთქა ძველი საბურავების კედელს. მრბოლი სხვათა დაუხმარებლად კი ამოვიდა კოკპიტიდან, მაგრამ მაინც გააქანეს ჰოსპიტალში გამოსაკვლევად. საბედნიეროდ, საშიში არაფერი აღმოჩნდა, მხოლოდ მცირე დაჟეჟილობა და ფელიპე იმავე დღეს შინ გაუშვეს.

შუმახერმა ფიორანოდან შორიახლო მეორე იტალიურ, „იმოლას“ ტრეკზე გადაინაცვლა და იქ გააგრძელა მანქანისა და თავის წრთობა. იმოლასთან დაკავშირებით კი უსიამოვნო ამბავია: ფორმულის გამგებელმა ბერნი ეკლსტოუნმა დაიჟინა, იქ წლევანდელი რბოლა უკანასკნელი იქნებაო. საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ახირების ფორმალური მიზეზი ისაა, რომ არ სურს იტალიაში ორი ეტაპი (მონცა, იმოლა) ტარდებოდეს, რადგან რიგში რამდენიმე არაევროპული ქვეყანა დგას.

„იმოლაზე“ 1980 წლიდან თამაშდება „სან მარინოს დიდი პრიზი“. ენცო და დინო ფერარების სახელობის ავტოდრომზე მეოთხედ საუკუნეში კარგიც და ავიც ბევრი მომხდარა. და მაინც, იქაურობა მეხსიერებაში მუდამ დარჩება, როგორც აირტონ სენას დაღუპვის ადგილი. ლეგენდარული ბრაზილიელი ათი წლის წინანდელმა რბოლამ შეიწირა. „ჯადოქარის“ სამშობლოში 2004 წელი სენას წლად გამოცხადდა. მის სამახსოვროდ უამრავი ღონისძიებაა დაგეგმილი, რომელთაგან უმეტესი სწორედ იმოლაში ჩაივლის სიმბოლურად ათი დღის განმავლობაში.

რაც შეეხება ტრასის მომავალს, როგორც ბერნის ბევრი მოწინააღმდეგე თვლის, ძალიან საგანგაშოც არაფერია, რადგან მას ადრეც უთქვამს აუგი იმოლელებზე, რბოლა კი არ გაუქმებულა.

ასეა თუ ისე, „სამეფო რბოლებში“ სატრასო წმენდა გრძელდება. ავსტრია უკვე ამოვარდა კალენდრიდან, ახლა იმოლას ჯერი დადგა. წლეულს ორი ახალი ეტაპია — ჩინეთისა და ბაჰრეინის, გაისად თურქეთის. ხოლო შემდეგ ინდოეთი, კორეა, მექსიკა, არგენტინა, პაკისტანიც კი... ეკლსტოუნი ძალიანაა დაინტერესებული „ახალი მიწების“ ათვისებით, განსაკუთრებით ევროპის გარეთ, რადგან, მოგეხსენებათ, 2005 წლიდან ბებერ კონტინენტზე თამბაქოს რეკლამა აიკრძალება, ეს კი ფორმულა 1-ის უძღები ხაზინის შემავსებელი უმთავრესი მდინარეა.

**გია ახალაძე**



მიხაელ შუმახერი „იმოლაზე“ ვარჯიშისას



აირტონ სენას ძეგლი იმოლას ავტოდრომზე

ეროვნული ბიბლიოთეკა




ავსტრალიელებთან შეხლის წინ შვედი რობინ სოდერლინგი, დახეთ, როგორ ითელება

# შვეიცარიელს ციდან თიხაზე დანარცხებას უპირებენ

**კაცმეჩოგნეებს** ჯერ ავსტრალიის ღია პირველობიდან გამოყოლილი ზარხოში არ განელებიათ, ხელახლა ალჭურვა და თავთავიანთი ქვეყნებისთვის დევისთასზე ჩოგნაობა რომ უხდებათ. დღეს წლევანდელი გათამაშების პირველი დღეა და მილეთს უწინარესად ორი რამ აინტერესებს — როგორ გაირჯება რუმინეთის წინააღმდეგ ამქრის ამჟამინდელი უდავო პირველოსანი როჯერ ფედერერი და მიითვლის თუ არა თავის 25-ე საერთეულო დევისგამარჯვებას ლეიტონ ჰიუიტი, რაიც ავსტრალიის ეროვნული რეკორდი იქნება.

მელბურნული გამარჯვების შემდეგ შვეიცარიაში დაბრუნებულ ფედერერს მშობლებთან ერთად სასადილოდ და სულის მოსათქმელად მხოლოდ 24 საათი ჰქონდა. ამის შემდეგ მან გუნდთან ერთად ბუქარესტს მიაშურა, სადაც მისი სამშობლოს მიერ აქამდე ვერასდროს მოგებული თასისთვის ბრძოლას დაიწყებს.

რუმინელები მას თიხნარზე დაუხვდებიან და დამხვდურთა პირველმეჩოგნე ანდრე პაველი იმედოვნებს, რომ მელბურნული მაგარსაფრის შემდეგ ფედერერი ბუქარესტულ თიხნარზე უფრო კნინად და უხალისოდ ითამაშებს. აქაოდა, ვერც გაჩვევას მოასწრებს და არც ისეთი მუღამი ექნებაო.

რაც შეეხება ჰიუიტს, თვისტომ ადრიან კუისტის რეკორდის დამხობას ის შვედთა წინააღმდეგ ეცდება. შარშანდელი ჩემპიონები მეოთხედფინალის საგზურისთვის სწორედ შვედებს ერკინებიან და ამ ამბავს ადელაიდური მაგარსაფარი უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, რომ ეს ორი გუნდი ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთმანეთს უკვე მესამედ შეხვდება. მათი შარშანდელი მეოთხედფინალური დაპირისპირება — ეგებ არც თქვენ დაგვიწყებიათ — ოზთა სრული გამარჯვებით (5:0) დამთავრდა.

სხვაფრივ — რუსები მინსკში ჩაფრინდნენ და იქ ბელარუსთა ძლევას შეეცდებიან. თუმცა საკმარისი იქნება თუ არა მელბურნულ ფინალში ფედერერისგან ძლეული მარატ საფინის მარტოილაჯი მაქს მირნისა და ვლადიმირ ვოლჩკოვის მოსადრეკად, ეგ ჯერ უცნობია. საფინის გარდა ამ მომენტისთვის არც ერთი რუსი მეჩოგნე რიგიან ფორმაში არ არის.

ზედ ჩეხებთან ჯახის წინ ესპანურ არმადას ორი სახელიან-რეიტინგოსანი მეჩოგნე გამოაკლდა — ხუან კარლოს ფერერომ წვივი მოისატკივრა, კარლოს მოიამ კი კოჭი.

პირველმეჩოგნე არც მეცში ხორვატთა მიმღებ ფრანგებს ეყოლებათ. სებასტიან გროჟანი ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალში, ანდრე აგასის წინააღმდეგ ბურთაობისას დაშავდა და კორტზე კიდევ ექვსი კვირა ვერ გამოჩნდება.

ფრანგები ასევე მოისაკლისებენ გამოცდილ წყვილოსან ფაბრის სანტოროს, ვინაც ჩოგნაობა კაპიტანგი ფორჟესთან უთანხმოების გამო იუარა. არადა, სანტორომ თანამეჯუფთე მიშელ ლოდრასთან ერთად წინა კვირას ავსტრალიის ღია პირველობა მოიგო და ახლა მართლაც ჩინებულ ფორმაშია.

ენდი როდიკი და მისი იანკური კომპანია კი კონექტიკუტში ავსტრიელებს დაუხვდებიან. დევისთასის ყველაზე მეტჯერ მომგებ ქვეყანას ეს ჯილდო 1995 წლის შემდეგ აღარ რგებია და იმედია, ამერიკელები ჩოგნის გამოღებას ამ წელს მაინც გაბედავენ.

**ლევან ძელაურაძე**

# ვინუსის პრეტენზიები და სიმპათიები

**PAN PACIFIC OPEN**
ტოკიო. ჰარდი
საპრიზო 1,3 მილიონი დოლარი

**მეორე წრე**

**ვინუს უილიამსი** (1, აშშ) — საორი ობატა (იაპონია) 6:3, 6:4; **ტატიანა პანოვა** (რუსეთი) — ელენა დემენტიევა (3, რუსეთი) 7:6 (7:5), 6:3; **აი სუგიამა** (4, იაპონია) — ელს კალენსი (ბელგია) 6:3, 6:3; **ჩანდა რუბინი** (5, აშშ) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 7:5, 6:7 (3:7), 6:3; **ელენა დოკიჩი** (7, სერბეთი) — ჟანეტ ჰუსაროვა (სლოვაკეთი) 7:6 (9:7), 6:7 (2:7), 6:1; **მაგდალენა მალეევა** (ბულგარეთი) — ლაურა გრენვილი (აშშ) 6:1, 6:3

თავის პირველ საამსეზონო მეოთხედფინალში მოსახვედრად ვინუს უილიამსს გუშინ იაპონელ ობატასთან 66-წუთიანი ბლარძუნი მოუხდა. ვინუსს მოწოდება არ წაუვიდა და არც თუ სხვაფრივ გაუბრწყინია, მაგრამ ადგილობრივთა ჯილათაგანის დასამარცხებლად მაინც საკმარისად კარგი იყო. ნამატჩევს კი ძირითადად იმით კმაყოფილობდა, რომ ტოკიოური მილეთი მას ძალზედ თბილად დაუხვდა. „ცხადია, იმას არ მოველი, რომ ყველას გმირი ვიქნები — ამბობდა ვინუსი — მაგრამ იმის პრეტენზია კი ნაღდად მაქვს, რომ რაღაც პატივისცემას მეც ვიმსახურებ. ამ თვალსაზრისით, აქ ყოველთვის ისე საუცხოოდ მეპყრობიან, როგორც არსად სხვაგან."

შეგახსენებთ, რომ უფროსმა შავდამ გასულ ზაფხულში დაშავებული ქვედამუცლის გამო ექვსი თვე იუქმა და კორტს მხოლოდ სამიოდ კვირის წინ ავსტრალიის ღია პირველობაზე დაუბრუნდა.

მეოთხედფინალში ვინუსი თვისტომ ჩანდა რუბინს შეხვდება. რუბინი გუშინ სამი სეტის განმავლობაში ეომა მტკივან მუხლსა და გაჯიქებულ ადგილობრივ მეტოქეს.

მორიგი სამსეტიანივე ბრძოლა გადახდა ელენა დოკიჩსაც. ხორციანმა სერბგოგომ ამჯერად სლოვაკ ჟანეტ ჰუსაროვასთან გაიჭირვა, თუმცა მეოთხედფინალში მაინც გავიდა და მთავარიც სწორედ ეგ იყო.

ამის მერე დოკიჩი რუს პანოვას ეთამაშება, ვინაც მესამე ნომრად განთესილი თვისტომი, თითქმის ყველაფერმშვენიერი ელენა დემენტიევა აოტა. დემენტიევასთვის — თუ გახსოვთ — ილბლიანი არც ავსტრალიის ღია პირველობის სტარტი გამოდგა. იქ მან საპირველწრეო მატჩშივე ჩაიფლავა — თუმცა ძირითადად იმის გამო, რომ გრიპისგან იყო დაოსებული.



ვინუს უილიამსი



**რეგულარული ჩემპიონატი**




მარკ რიხტერის ბენეფისი უსიამოვნოდ დამთავრდა

# რიხტერის შკალა კატასტროფას აჩვენებს

## რეინჯერსმა ისევ კარგად დაიწყო

— 4 თებერვალი —

**რეინჯერსი 3:4 მინესოტა**
*0:1 3:1 0:2*

0:1 ლააქსონენი (5), 0:2 ჟოლტოკი (25), 1:2 ნედველი (26), 2:2 იაგრი (32), 3:2 იაგრი (36), 3:3 ჟოლტოკი (41), 3:4 გაბორიკი (54)

დასაწყისი ჩინებული იყო. 4 თებერვალს „მედისონ სკვერ გარდენი" სახელოვან მეკარე მაიკ რიხტერს „პენსიაზე" აცილებდა. 90-იანების გამოჩენილმა გოლკიპერმა მთელი კარიერის განმავლობაში „რეინჯერსს" უერთგულა და ზეიმი სავსებით დაიმსახურა. მის პატივისაცემად დარბაზის ჯერზე: №35 მაისურა აფრიალდა. პირთამდე სავსე „მედისონი" ხაროდა, რადგან ამ ამაღლებულ წუთებს გემრიელი თამაში მოჰყვა. განსაკუთრებით იაგრმა გამოიდო თავი (2+1) და როცა ჩეხმა თავისი გუნდი პირველად დააწინაურა, ყველას ეგონა, რომ დასასრულიც სასიამოვნო იქნებოდა, მაგრამ ბოლო მესამედში მასპინძლებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. რას იზამ, რიხტერის დარი მეკარე მათ არ ჰყავთ, მაიკ დანემმა კი სერგეი ჟოლტოკისა და მარიან გაბორკის დარტყმებს ვერაფერი მოუხერხა.

ბოლოს გაცხარებულმა მაყურებლებმა გუნდის თავკაც გლენ სატერის ლანძღვა-გინებით მოიოხრეს გული, თან დანემს დასცინოდნენ, მის ყოველ იოლ მოგერიებას ტაშიც ხვდებოდნენ.

**ედმონტონი 5:3 სენტ ლუისი**
*0:1 4:2 1:0*

0:1 ტკაჩუკი (19), 1:1 მორო (22), 2:1 დლორჟაკი (24), 2:2 მაიერსი (30), 2:3 პრონგერი (33), 3:3 რ. სმიტი (34), 4:3 პორკოფი (39), 5:3 რ. სმიტი (58)

**ფილადელფია 5:1 ვაშინგტონი**
*1:0 1:1 3:0*

1:0 განიე (15), 1:1 ლანგი (34), 2:1 ლეკლერი (35), 3:1 იუნსონი (44), 4:1 რეკი (50), 5:1 არიმო (56)

დიდხანს დასჭირდა ფინელ მეკარე ანტერო ნიიტიმიაკს ლოდინი. იგი 1998 წელს აიყვანა „ფილადელფიამ" დრაფტზე და მხოლოდ ახლა, ოთხშაბათს შედგა მისი დებიუტი, როცა ძირითადის ორივე მეკარე მწყობრიდან გამოვიდა. მშვენივრადაც გამოუვიდა — არ ნერვიულობდა, ღირსეულად ეჭირა თავი. თუმც ისიც სათქმელია, რომ „მფრინავებს" უსუსური „ვაშინგტონი" სტუმრობდა, რომელსაც იარომირ იაგრის წასვლის შემდეგ ერთი სახიფათო ფორვარდიღა შერჩა, რობერტ ლანგი. ამიტომ მასპინძლებს მოგება არ გასჭირვებიათ, ნიიტიმიაკი კი მხოლოდ ლანგმა გაანაწყენა.

**ფინიქსი 4:5 ფლორიდა**
*1:1 1:1 2:2 0:1*

1:0 კლირი (5), 1:1 იოკინენი (6), 1:2 ბოდუენი (24), 2:2 გრეტონი (33), 3:2 მარა (56), 4:2 ლენგკოუ (58), 4:3 კოლნიკი (59), 4:4 ვან რინი (59), 4:5 იოკინენი (64)

**დალასი 1:0 კოლუმბუსი**
*0:0 1:0 0:0*

1:0 არნოტი (27)

კოლუმბუსელ „დეზერტირ" ნიკოლაი ჟერდევს მოუწევს სასამართლოში გამოცხადება. მისი სამშობლოდან გაქცევა ერთხანს თითქოს მიიჩქმალა, მაგრამ რუსეთის ჰოკეის ფედერაციამ მაინც მიაღწია თავისას. ახლა ჟერდევის ბედი დამოუკიდებელი არბიტრის, შვეიცარიელი შტეფან ნეცლეს ხელშია. ოთხშაბათს პირველი მოსმენის დღეც დაინიშნა — 23 თებერვალი. ალბათ ბედის ირონიაა, რუსული არმიის საზეიმო დღეს რომ დაემთხვა. შეგახსენებთ, ჟერდევი ცსკა-ში ასპარეზობდა და ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში ირიცხებოდა.

**ანაჰაიმი 3:2 კაროლინა**
*0:1 2:1 1:0*

0:1 ვასიჩუკი (5), 1:1 პროსპალი (23), 1:2 კოული (24), 2:2 ვიშნევსკი (31), 3:2 პოლსონი (56)



# ევროლიგა

**პირველი ჯგუფური ეტაპი. XII ტური. 5 თებერვალი**

| A ჯგუფი | B ჯგუფი |
| --- | --- |
| ოლიმპია 87:68 რომა | მაკაბი 92:83 ჟალგირისი |
| პარტიზანი 75:77 პო ორტეზი | **C ჯგუფი** |
| აეკი 64:70 ბარსელონა | ოლიმპიაკოსი 89:102 ბენეტონი |



REUTERS დოჰადან

# მზადება მონტმელოზე

7 მარტს მელბურნში ავსტრალიის დიდი პრიზი გაიმართება მეფორმულეთა შორის. „მაკლარენის" პილოტი დავიდ კულთჰარდი ბარსელონის ახლო მონტმელოზე ემზადება თავის თანაგუნდელ პედრო მარტინეს დე ლა როსასთან ერთად. ის კი ვიცით, რომ ველოსიპედი განტვირთვის საუკეთესო საშუალებაა და კულთჰარდიც ფეხს არ აკლებს ამ მეფორმულისთვის იოლი მანქანით ნავარდს.



REUTERS ბარსელონიდან

# ყატარის მხედრობა

ყატარის უდაბნოში მთელი თავისი არაბული რამე-რუმეებით მიმდინარეობს „ყატარის ტური", მომხიბლველი ველოშეჯიბრი, რომლის მეორე ეტაპიც, 151 კილომეტრზე სულ უდაბნოში რომ გაწელილიყო ალზუბარასა და დოჰას შორის, ჰოლანდიელმა სერვაის კნავენმა მოიგო და რბოლასაც სათავეში ჩაუდგა. ყატარელები კი პურმარილიანი ხალხია და წახემსებას არავის დაამადლებენ. მაგანი შეიხი თავისი ხელით აჭმევს ავსტრალიელ რობი მაკივენს, ხოლო ჩადრით მოსილ იდუმალ ქალს ტკბილი პური მიუთავაზებია იტალიელ სალვატორე კომესოსთვის და, რა თქმა უნდა, აქლემები, რომლებთანაც ფრანკ სუნიე დუვალს საერთო ენა გამოუნახავს.



REUTERS დოჰადან





REUTERS დოჰადან

# უკვდავი ნომერი

მაიკ რიხტერი მეკარეთა-მეკარეა. ამას ბევრი ფიცი და მტკიცი არ უნდა. თუმცა, ოფიციალური პატივი ყოველთვის სასიამოვნოა. „ნიუ იორკ რეინჯერმა" „მედისონ სკვერ გარდენის" ჭერში ასწია რიხტერის ნომერი, კარში კი მისი ჩაფხუტი დაასვენა. თავად მეკარე ოჯახითურთ იქ იყო. შეხსენებისთვის, რიხტერმა ლომის წილი დაიდო 1994 წელს „რეინჯერსის" მიერ სტენლის თასის მოგებაში და მთელი კარიერა ამ ნიუიორკულ კლუბში გაატარა. ის რიგით მესამე რეინჯერსელია, კლუბმა რომ უკვდავყო.




REUTERS ნიუ იორკიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge